185/09 №16081
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2971
სამშაბათი,
3 იანვარი

ცნობის ფურცელი

2971
სამშაბათი,
3 იანვარი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ბ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გაზეთი
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ა. პ. შულგინა-მესხი
გაკვეთილები საოპერო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
გ. ზ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ე. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
ვ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ი. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ვ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ილჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ვ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სტაციონერული განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—40)

მედიცინის დოქტორი
გ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—40)

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და [illegible]ენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე, საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—5.—9)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 5—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

ექიმი
გ. პ. გეზირჯანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—19)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, [illegible] ქუჩის დასაწყისში. ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—18)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სსამს ახალ ხელოვნურ კბილებს უმტკივნეულო გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5-6 საათამდე. (თვ.—80—40)

მედიცინის დოქტორმა
ზ. ი. გურგენოვმა,
[illegible]ტატის ორდინატორმა ნამყოფმა ხარკოვის სა[illegible]იო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა [illegible]ებით და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, სა[illegible]ისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—28)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ).

ექიმი
გ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიჰმართოს პირველად ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

ტფილისი, 1 იანვარი.

სახალწლო დასკვნა.

„არც ცენტრს, არც გლეხობას, არც არა სხვა საჭირბოროტო საქმეს არაფერი ეშველება, სანამ ადგილობრივი საზოგადოებრივი თვითმოქმედება არ გაფართოვდება და სანამ შეცვლილ არ იქნება უფლებრივი წესწყობილებაო"—ამ სიტყვებით დაახასიათა ჩვენმა გაზეთმა ორის წლის წინად ის დასკვნა, რომელიც გამოიტანა რუსეთის შეგნებულმა ნაწილმა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობიდან ათას ცხრაას მესამე წლის დასასრულს. ეს არ იყო დასკვნა უკიდურეს პარტიებისა, არ იყო შეხედულება რევოლიუციონერების და სოციალისტებისა, რადგან წინმსვლელობა ამ თავგანწირულ მებრძოლებს დიდი ხანია შეგნებული და პრაქტიკულ მოქმედების მიზნად ჰქონდათ გადაქცეული ძირითადი რეფორმა სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა; ის ფაქტები კი, რომელთაგანაც სხვები ახლად ასკვნიდნენ უფლებრივ რეფორმის საჭიროებას, უკიდურეს პარტიებისთვის მხოლოდ ახალი და ძლიერი საბუთები იყვნენ მათის შეხედულების სიმართლისა.

1900 წლიდან თვით ბიუროკრატიამაც კი დაინახა, რა აჩქარებულის ნაბიჯით მიექანებოდა რუსული ხალხის [illegible]; შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფილმა ფონ-პლევემ, ამ თვითნებობის განხორციელებამაც კი იგრძნო, რომ გარეშე საზოგადოებრივ ძალთა თვითმოქმედებისა რუსეთისთვის ხსნა არსად იყო და გამოაცხადა, საჭიროა მთავრობის და საზოგადოების მოქმედების ფარგალი ერთიერთმანეთისაგან განისაზღვროსო. ერთი მეორეზე წამოყენებულ იქმნა ბიუროკრატიის ინიციატივით ან ნებართვით მთელი წყება საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა და სხვა საკითხებისა, სწავლა-განათლების საქმე, სოფლის მეურნეობის საჭიროებანი, ცენტრის გაღატაკება, ხალხის გამოკვების საქმე, სასამართლოს და თვითმმართველობის რეფორმა და მრავალი სხვ. თითოეული საგანი, თითოეული მხარე ქვეყნის მდგომარეობისა ხმა-მაღლა ჰღაღადებდა ღრმა რეფორმების საჭიროებას, მაგრამ თითოეულ საკითხის კერძოობითი ისტორია ამასთანავე ენერგიულად ამტკიცებდა, რომ რუსეთის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მდგომარეობა ერთს ორგანიულს ერთეულს წარმოადგენდა, რომ ცხოვრების არც ერთი მხარე არ შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო უმისოდ, თუ ძირითადი კანონი რუსეთის სახელმწიფოებრივობისა, თუ თვითმპყრობელობის კანონი გაუქმებულ არ იქნებოდა და ცხოვრების განსაახლებლად ხალხის ნამდვილი წარმომადგენელნი არ იქნებოდნენ მოწვეული კანონმდებლობის განმახორციელებლად. ძირითად რეფორმის საჭიროებას წლითი-წლობით უფრო და უფრო ნათლად ჰგრძნობდნენ რუსეთის მცხოვრებნი სხვადა-სხვა საზოგადოებრივი კლასსები, და 1903 წლის დასასრულს „უფლებრივ წესწყობილების შეცვლას" ჩვენი გაზეთი სწორედ ამ აზრით აღიარებდა რუსეთის ყველა შეგნებულ ელემენტების მოთხოვნად, პოლიტიკურ რწმად.

ბუნებისმეტყველება გვასწავლის, რომ წყალი ყინულად იქცევა, როდესაც სითბო განსაზღვრულ საფეხურზე ქვევით იწევს, მაგრამ იგივე მეცნიერება გვეუბნება, რომ სიცივე თავისთავად წყალს ყინულად ვერ გადააქცევს, თუ წყალი სრულიად დაწყნარებულია და რაიმე გარეშე ძალა არ შეატოკებს იმას. ასეთსავე კანონს ემორჩილება სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ძირითადი ცვლილება, თვითმპყრობელობის გაუქმება აუცილებელი დასკვნა უნდა ყოფილიყო რუსეთის ისტორიულ განვითარებისა, მაგრამ ამ რეფორმის განსახორციელებლად და რეალურად ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო იყო რაიმე გარეგანი, მყუდროების დამარღვეველი ძალა. 1904 წელიწადს რუსეთის ისტორიისთვის სწორედ ამ გარეგან ძალის მნიშვნელობა ჰქონდა, რომელმაც შეარყია თვითმპყრობელობითს რუსეთში მშვიდობიანობა და გახსნა გზა კაი ხნის მომწიფებულ ძირითად რეფორმის მოსახდენად: დაიცალა თუ არა შორეულ აღმოსავლეთის წყლებზე პირველი ზარბაზანი რუსეთ-იაპონიის ომიანობისა გამო, შორსმჭვრეტელმა მოღვაწეებმა უმალ გამოაცხადეს, სულ ერთია, მოიგებს თუ წააგებს რუსეთი ეხლანდელს ომს, უპირველესი ნაყოფი ამ ომისა რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრების ძირითადი განახლება იქნებაო. 1905 წელიწადი იმედებით დაიწყო, მთელი რუსეთი განახლებას ელოდა.

1904 წლის მიწურულში, 12 დეკემბერს უკანასკნელად სცადა თვითმპყრობელობითმა რუსეთმა პოლიტიკურ განახლების ტალღა შეეჩერებინა და ისე დაეკმაყოფილებინა ცხოვრების ზოგიერთი მომწიფებული საჭიროება, რომ ძირითადი კანონი რუსეთის შინაურის პოლიტიკისა შეურყეველი დარჩენილიყო. „უმაღლესი რესკრიპტი 12 დეკემბრისა დიდ-მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტია, რომელსაც თვითმპყრობელობის უკანასკნელი ამოძახილი შეიძლება ვუწოდოთ. არაფერს და არასოდეს არ დაუმტკიცებია რუსეთში ბიუროკრატიის უძლურება ისეთის მჭევრმეტყველობით, როგორც ეს ამ უმაღლესს რესკრიპტზე დამყარებულმა ბიუროკრატიულმა მუშაობამ დაამტკიცა. ამ რესკრიპტში თვითმპყრობელი მეფე ავალებს თავის ყურმოჭრილ ხელქვეითებს, სწრაფად და ერთბაშად გადასწყვიტონ ხალხის საკეთილდღეოდ ის საჭირბოროტო საკითხები, რომელთაც ისინი ამოდენა ხანია გარეშემო უვლიდნენ და ვერ იქნა—ვერ მოეხერხებინათ, ერთ-ერთი მათგანი მაინც ისე გადაეწყვიტათ, რომ მათი გადაწყვეტილება ქვეყნის საკეთილდღეო ყოფილიყო და არა ქვეყნის დამაქცევარი. 12 დეკემბრის რესკრიპტის ნიადაგზე აშენდა მთელი ახალი სისტემა ბიუროკრატიულ კომისიებისა, მაგრამ ვიდრე ეს კომისიები სხვა და სხვა ბიუროკრატიულ კომბინაციებში დასცურავდნენ და ძველ წესწყობილების ნაფლეთებისაგან ვითომ ახალს წამოსასხამს ქსოვდნენ, ხალხი უკვე ქუჩაში გამოვიდა და რუსეთის რევოლიუციის ქარიშხალი ამოვარდა.

ცხრა იანვარს დაიღვარა პირველად პეტერბურგის ქუჩებში რევოლიუციონურ ხალხის სისხლი და ოფიციალურად დაიწყო დიდებული ხანა რუსეთის რევოლიუციისა. 1905 წელიწადი ქუჩაში ბრძოლით დაიწყო და ასეთისავე ბრძოლით დასრულდა. ეს პირდაპირი ბრძოლა ხალხისა თვითმპყრობელ მთავრობასთან ჯერ დაუმთავრებელია, მოწინააღმდეგეებს ჯერ კიდევ არ უარუყვიათ ბრძოლის საჭიროება, პირიქით, რაც ხანი გადის, ორივე მხარე უფრო მედგრად ემზადება, უფრო სასტიკს თავდასხმისთვის ჰლესავს ხმალ-ხანჯალს. განვლილ წლის სარევოლიუციო ბრძოლის მრავალ დიდ მნიშვნელოვან მომენტებ შორის განსაკუთრებით დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს ოქტომბრის და დეკემბრის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას. ოქტომბერში რევოლიუციამ სამაგალითო სისწრაფით გაიმარჯვა, ამ გამარჯვების ნაყოფია თვითმპყრობელობის პრინციპიალურად გაუქმება, სამოქალაქო თავისუფლების გამოცხადება და კანონმდებლობის განსახორციელებლად ხალხის ზოგიერთ [illegible] წარმომადგენელთა მოწოდება. დეკემბრის პოლიტიკურ გაფიცვის მიზანი იყო მოპოვება საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებისა და დამფუძნებელ კრების მოწვევა. დეკემბრის გაფიცვა დამარცხებით გათავდა, რეაქციამ გაიმარჯვა და ამ გვარად საჭირო შეიქნა ხელახალი გადასინჯვა განმათავისუფლებელ მოძრაობის ტაქტიკისა და ხელახალი მოგროვება განმათავისუფლებელ ძალებისა.

ამ გვარად ახალს წელიწადს ვიწყებთ ძველის შეურყეველის რწმენით ხალხის საბოლოო გამარჯვების შესახებ და იმედით, რომ დეკემბრის დამარცხებას ხალხი გამოიყენებს, როგორც ისტორიულ გაკვეთილს, რომლისაგანაც დასკვნილ უნდა იქმნას ჭეშმარიტი გზა ხალხის ნამდვილის და სრულის განთავისუფლებისა.

1835

გუშინდელი წარსული

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეგ განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!"
ბარათაშვილი.

ზამთრის ცხელი დღე იყო. მეხის მაგვარად ჟუმბარამ იჭექა პეტერბურგის ქუჩაზედ და წუთი სოფელს გამოასალმა დიდი ბოძი რუსეთის თვითმპყრობელობისა, უფრო ძლიერი ვაჩესლავ ფონ-პლევე. მთავრობა ჭირის-პირ იდგა დილემმის წინ: ძველი გზა თუ ახალი. სამარცხვინო ომმა იაპონიასთან სრულიად დაუკარგა საზოგადოების ნდობა, აამხედრა იმის წინააღმდეგ გუშინდელი მეგობარიც კი, და უნებლიეთ მთავრობამ გადასწყვიტა „ახალ გზას" დადგეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სათავეში ჩადგა „ახალი კაცი," რომელმაც „ნდობა გამოუცხადა რუსეთის საზოგადოებას. მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს მცხოვრებს, ენა ამოგლეჯილ მონას, ადმინისტრატიულ თვითნებობისგან დაჩაგრულს, შეეძლო აღვსილიყო იმ ბავშურის სიხარულით, როგორიც გამოიწვია უცნაურმა „ნდობამ." „გაზაფხული, გაზაფხული დადგაო," ყვიროდა რუსეთის გახარებული მცხოვრები და დიდი ხნის ენა დაბმულობის შემდეგ ხარბად დაეწაფა მჭევრმეტყველობის მდინარეს. დადგა ხანა ბანკეტებისა, რეზოლიუციებისა, პეტიციებისა და სხვათა სიტყვა კაზმულ ლიტერატურისა. რუსეთის მცხოვრები დაემგზავსა, უკაცრავად შედარებისთვის, გაზაფხულის სითბოზედ ბოსლიდან განთავისუფლებულ სიქონელს, რომელსაც მოსწყენდა მთელი ზამთარი დაჩუტულ ბოსელში ყოფნა, იგრძნო თავი წმინდა ჰაერზედ და უეცრად დახტის და ლაღობს.

ლაღობდა რუსეთის მცხოვრებიც; არა ფიქრობდა, რომ უეცრივ მოვლინებული გაზაფხული თავის დროზედ არ დამდგარა: იგი გაჩნდა სუსხიან ჩრდილოეთის ზამთარში. მალე იგრძნო შეცდომა, მალე შეიტყო, რომ გაზაფხული შორს არის, რომ ცივ ზამთრის მეუფება ჯერ კიდევ არ გათავებულა.

გათენდა ცხრა იანვარი. ნაადრევ გაზაფხულისაგან დამთვრალი რუსეთი იმ დღეს გამოფხიზლდა. „ნდობით" მოტყუებულმა პეტერბურგის მუშა ხალხმა იფიქრა, რომ ეხლა სრული უფლება აქვს მიმართოს მთავრობას და თავის პირით მოუთხროს გულსაკლავი ამბავი მუშა ხალხის ჭირ-ვარამისა. ასი ათასი მუშა მშვიდად გაემგზავრა, დარწმუნებული, რომ იმის გმინვას მოისმენენ, იმის ჭრილობებს მალამოს დასდებენ. თოფების გრიალმა პირი შეუკრა, ენა მოსჭრა მშვიდობიან ხალხს, რომელსაც მხოლოდ ერთი დანაშაული ჰქონდა—მშიერ-მწყურვალი იყო და სურდა ხმა მაღლა ეთქვა ვისთვისაც ჯერ არს. მაგრამ ეს დანაშაული მძიმე დანაშაულად ჩაუთვალეს ტანჯულ ხალხს და სასტიკად დასაჯეს. სისხლით შეღებილმა თოვლმა თავში ჩაქუჩი ჩასჭრა რუსეთის მცხოვრებს და ნათლად დაანახვა ფასი მთავრობისაგან გამოცხადებულ ნდობისა საზოგადოებისადმი, ცხრა იანვრის საზარელმა სურათმა გამოააშკარავა ბავშური გულუბრყვილობა რუსეთის მცხოვრებისა. ცხრა იანვარი მკაცრი გაკვეთილი იყო რუსეთის საზოგადოებისათვის. იმან გაიგო, რომ მგლის თავზე სახარების კითხვა წყლის ნაყვაა: მგელი მგლობას არ დაიშლის, სანამ სული უდგას. ცხრა იანვარმა გამოარკვია, რომ ხალხის თავისუფლება—თვით ხალხის საქმეა და სხვა არავისი.

ცხრა იანვარს გამოიშიშვლა პირველი ხმალი ხალხის თავისუფლების მოპოვებისათვის, რუსეთის რევოლიუცია დაიწყო. ლითონ სიტყვების ხანა გათავდა, საქმიანობის ხანა დადგა. საზოგადოებამ დაიწყო მზადება ნამდვილ თავისუფლების მოპოვებისათვის. პირველი ნაბიჯი მზადებისა გამოიხატა განმათავისუფლებელ მოძრაობის ძალების შეკრებასა და შეერთებაში, მათ პოლიტიკურ credo-ს გამორკვევაში. რუსეთის პირობებში ბუნებრივად შეეძლოთ ეს ნაბიჯი [illegible] ლიბერალად მოაზრე წრეებს. ასეც მოხდა. გაიმართა „სიეზდები" ქალაქის თვითმმართველობის და ერობის წარმომადგენლებისა, ვექილებისა, რკინის გზის მოხელეებისა, ინჟინრებისა, პედაგოგებისა და სხვათა. ლიბერალურად მოაზრე წრეებმა ერთხმად აღიარეს აუცილებელი და დაუყოვნებელი [illegible] საჭიროება ხალხის წარმომადგენლების [illegible]ვისა. საზოგადოების ხმა ამაღლდა, გამაგრდა. ის აღარ ჰგავდა გულაჩვილებულ ბავშვის ხმას, იგი დაემსგავსა დარბაისელ კაცის ხმას.

რა უნდა ექმნა მთავრობას?

მთავრობის არსებობა შეუძლებელია, თუ იგი არ ემყარება ხალხის რომელსამე ჯგუფზედ და ძალას არა გრძნობს იმის მეოხებით. რუსეთის მთავრობას ყველა ჯგუფმა უნდობლობა გამოუცხადა, ზურგი შეაქცია, კისერზე კი ეკიდა სამარცხვინო ომი იაპონიასთან. მთავრობა იძულებული გახდა ყური მიეცა საზოგადოების „კეთილ-საიმედო" ნაწილის ძლიერ ხმისათვის და ტუჩებზე თაფლი მიეცხო, რომ როგორმე უკან დაებრუნებინა დაკარგული და იმისათვის ფრიად საჭირო ნდობა. გული შეიმაგრა და 18 თებერვალს გამოაცხადა, რომ ამიერიდან მოიწვევს ღირსეულ, ხალხისაგან ნდობით აღჭურვილ, პირებს საკანონმდებლო მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

18 თებერვლის რესკრიპტი იყო პირველი გამარჯვება განმათავისუფლებელ მოძრაობისა. მაგარი ბიუროკრატიული კედელი გატყდა. საზოგადოება მოუთმენლად ელოდა, როდის შეასხამს სისხლ-ხორცს უმაღლესი რესკრიპტი, მაგრამ ამასთან ძლიერ ეჭვობდა, რომ ნაზარეთიდან კეთილი რამ გამოსულიყო. საიდუმლოება, რომლითაც მოცული იყო მთავრობის მუშაობა უმაღლეს ბრძანების განსახორციელებლად, პიროვნება შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომელსაც მიენდო ამ მუშაობის ხელმძღვანელობა, საფუძვლიანად აშინებდა საზოგადოებას. შიში მართალი გამოდგა. როდესაც ცუსიმას წყლებმა შთანთქეს უკანასკნელი იმედი რუსეთის მთავრობისა, როდესაც საზოგადოების უკმაყოფილებამ უაღრეს წერტილს მიაღწია, მთავრობამ გამოაქვეყნა აქტი სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.

6 აგვისტოს აქტმა კვლავ დაარწმუნა რუსეთის ხალხი, რომ არავითარი იმედი არ არის ზევიდან თავისუფლების მიღებისა. სახელმწიფო სათათბირო ის დოლუა იყო, რომელსაც ძიძები ჩასჩრიან ხოლმე მტირალ ბავშვს, რომ ტირილი შეაწყვეტინონ.

კვლავ ცხადზედ უცხადესი გახდა, რომ ხალხს მხოლოდ თავისი იმედი უნდა ჰქონდეს, თუ ჰსურს ნამდვილი თავისუფლება მოიპოვოს. ლიბერალებმა თავისი ისტორიული მისსია შეასრულეს: საზოგადოების ხმას ძალა მოუმატეს და ცხოვრებამ უკან ჩამოაყენა. ისტორიულ სცენაზედ გამოდის მშრომელი ხალხი, ერთად-ერთი ნამდვილი მებრძოლი თავისუფლებისათვის. მშრომელი ხალხი ვერ დასთანხმდებოდა ლიბერალებისათვის საკმაო თავისუფლებას; მისი მოსწრაფება შეიძლებოდა ერთად-ერთი ყოფილიყო: ბოლო მოეღო იმ საშინელ რეჟიმისათვის, რომელიც სულს უხუთავდა მთელ რუსეთს. ამის განსახორციელებლად ერთად-ერთი იარაღი ჰქონდა ჯერ-ჯერობით მშრომელ ხალხს—გაფიცვა. გაფიცვას უნდა გამოეთხარა ძირი თვითმპყრობელ რეჟიმისათვის, რომ მის ნანგრევებზე აშენებულიყო თავისუფლების ტაძარი.

მთელმა მოაზრე რუსეთმა მხარი დაუჭირა მშრომელ ხალხს. შესწყდა ცხოვრება თვალუწვდენელ სივრცეზედ. დაფთხა, შედრკა უდიდესად ძლიერი მთავრობა, მუხლი მოიდრიკა 17 ოქტომბერს ხალხის წინაშე და დაჰპირდა მოქალაქობრივ თავისუფლების შეურყეველ საფუძვლების მიცემას. თვითმპყრობელობას ფესვები მოუკვეთა, მაგრამ თავი და ხელები შერჩა. ეს კარგად ესმოდა მშრომელ ხალხს და მედგრად უბრძანებდა იმათ მოკვეთასაც. ეს კი ვეღარ შესძლო მთავრობამ. ამან გულზედ მოიყვანა ნახევრად დაჭრილი და უკანასკნელი ძალა მოიკრიბა ჩაეჩუმებინა თავგასული ხალხი. „მოქალაქობრივ თავისუფლების შეურყეველი საფუძვლნი" მსწრაფლვე გადაიქცნენ მებრძოლთა ხოცვა-ჟლეტად. გაჩნდა კონტრ-რევოლიუცია. თვითმპყრობელობამ პირბადე აიხადა და ნათლად დაანახვა ხალხს თავისი მრისხანე სახე. ხალხი არ შედრკა, მრისხანებამ გაუორკეცა სურვილი უკანასკნელ ბრძოლისა, რომელიც კიდეც გამოუცხადა. 7 დეკემბერს დაიწყო მედგარი ომი. მთავრობამ ძალა მოიკრიბა და მედგრად შეება ხალხს. მეორე ომი მოიგო მთავრობამ, მაგრამ მისი გამარჯვება არის მეფე პიროსის გამარჯვება. დიდხანს ვერ მოიხმარებს მთავრობა გამარჯვებას. ხიშტებზედ მხოლოდ ხორცის აგება შეიძლება, აზრისა კი არას დროს. ცხოველი აზრი კი კვლავ შეუდრეკელად და სწრაფად დაჰფრინავს ვრცელ რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში. არ არის ძალა, რომელსაც ძალუძს გადაეღობოს აზრის ძლევა-მოსილს სვლას, მის მუშაობას. სული კვლავ გაამხნევებს დამარცხებულ ხალხს და გამარჯვებას მოუპოვებს. ნახევარი გზა განვლილი, კარგად გათელილია და იმედი აცისკროვნებს მის ბოლოს, ეს არის მოკლე სურათი განვლილ წლისა.

ახალო წელო, ვინ იცის იქნებ შენა გვცდა წილად ნახვა ნეტარ დღისა!

შ. ხ.

ტფილისი

11-დან 31 დეკემბრამდე.

საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა რუსეთსა და ჩვენში დასრულდა. ცხოვრება შედარებით ნორმალურს კალაპოტში დგება, გაზეთებიც იწყებენ გამოსვლას და ამიტომ ჩვენც შესაძლებლობა გვეძლევა დაახლოვებით აგიწეროთ ის, რაც 11 დეკემბრიდან დღევანდლამდე მოხდა ტფილისში.

როგორც მკითხველებმა უწყიან, 17 ოქტომბერს გამოცხადებული მანიფესტი მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი აღმოჩნდა. სხვა მრავალ მაგალითს გარდა ისიც საკმარისია მოვიყვანოთ, რომ პეტერბურგში ნოემბრის ბოლო რიცხვებში ხელ შეუხებლობა პირადობისა აშკარად გაქარწყლდა მუშათა საბჭოს წევრების დაპატიმრებით. რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოხელეთ არ მიეცათ ნება ესარგებლნათ მანიფესტით და პროფესიონალური კავშირი დაეარსებინათ დაპატიმრებულ იქმნენ ამ უწყების მოხელეთა მთავარ ბიუროს წევრები. სიტყვის თავისუფლება მარტო სიტყვად დარჩა, რაც მტკიცდება მარტო სატახტო ქალაქებში საუკეთესო გაზე[illegible] სხვ. ასეთმა მაგალითებმა [illegible] იძულებ[illegible] რუსეთის რევოლ[illegible] ჰქვეს გამოეყენებინათ საბრძოლველ მოედანი რეაქციასთან შესატაკებლად.

ბრძოლა მშვიდობიანის გზით დაიწყო. მოეხსნა 7 დეკემბერს საყოველთაო [illegible]

კური გაფიცვა. გაიფიცნენ რუსეთის 30-მდე რკინის გზის მოხელე მოსამსახურენი და დეპოსახელოსნოების მუშები. ამათ მოჰყვნენ ქარხნები, ფაბრიკები და სხვა დაწესებულებანი. საერთო გაფიცვას ტფილისიც არ ჩამორჩა, რა თქმა უნდა, და აქაც 12 დეკემბრიდან საერთო გაფიცვისათვის შეემზადნენ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოებსა და დეპოში მუშაობა შესწყვიტეს 10 დეკემბრიდან. გარდა სანოვაგის მაღაზია-დუქნებისა დაკეტილი იყო ყველა სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულება, სტამბები და სხვ. რკინის გზაზე უნდა ემუშავნა მხოლოდ იმდენ მატარებლებს, რამდენიც საჭირო იქნებოდა სანოვაგის გადასაზიდ-გადმოსაზიდად, ყაზახების სამშობლოში დასაბრუნებლად, ნავთის გადმოსაზიდად და სხვ. გაფიცვის პირველ დღეებიდანვე გამოაშკარავდა, რომ მშვიდობიანი ბრძოლა მალე ხელჩართულ ომად გადიქცეოდა, რაც კიდეც მოხდა მოსკოვსა, როსტოვსა, ბალტიის ზღვის სანაპირო ადგილებსა და სხვა კუთხეებშიაც.

გაფიცვის პირველ დღიდანვე ტფილისში გამოირკვა, რომ მცხოვრებთა დიდი პროცენტი —ვაჭრები და „ჩინოვნიკობა“ არა სოლიდარულად მიეგება პოლიტიკურ გაფიცვას. ღარიბ ხალხის მუდამ სისხლის მწოველმა ჩარჩ-ვაჭრებმა ისარგებლეს ამაებით და ყოველივე მამასისხლად გახადეს. ნავთი 12—15 კაპ. იყიდებოდა, შაქარი 45 კაპ., გაძვირდა პური, ხორცი. საქმეში ჩაერიენ რევოლიუციონერები და აიძულეს მოვაჭრენი, მხმარებელთათვის რიგიან ფასებში მიეცათ სანოვაგე. ამისათვის შეიმუშავეს კიდეც ნიხრი და გააკრეს ბაზრებში სახელმძღვანელოდ. 12 და 13 დეკემბერს აღმოჩნდა, რომ ტფილისში აღარ იყო შაქარი, ნაკლებად იყო პურის ფქვილი და ნავთი. განკარგულება მოახდინეს რევოლიუციონერებმა, მატარებლების გასაგზავნად და პურის, შაქრისა და სხვ. მოსატანად. ასე გავიდა ეს ორი დღე. დაიკეტა „რაბოჩი ლისტოკი“, 13 დეკემბერს აჰკრძალეს იმავე გაზეთის რედაქციის გამოცემა „ელის. ვესტნიკი“.

ქალაქი სრულიად მოსწყდა როგორც რუსეთს, ისე აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიას. რუსეთიდან სარევოლიუციო მოძრაობის შესახებ სხვა და სხვა ხმები გავრცელდა. 13 დეკემბერს საღამოთი ხმა გავრცელდა, რომ ტფილისში ადგილობრივი მთავრობა საომარ დროის წესების გამოცხადებას აპირებსო. ხმა გამართლდა და 14 დეკემბრიდან ქ. ტფილისსა და ტფილისის მაზრაში გამოცხადდა საომარ დროის წესები და გენერალ-გუბერნატორობა მიენდო კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე გენერალს მალამას. ამიერ-კავკასიის რკინის გზა გადაცემულ იქმნა სამხედრო მთავრობის განკარგულებაში. ამ დღემდე ქალაქში სრული მშვიდობიანობა იყო. ყოველ უბანში იდგნენ შეიარაღებული მილიციონერები და მცხოვრებთ იცავდნენ მო[illegible]ბელ უბედურებისაგან. ხულიგანების ჯა[illegible] არსად იყო. მიუხედავად იმისა, რომ [illegible]ლოებში იმას გარდა რომ ბნელი დამეები [illegible] ამასთანავე ნავთის უქონლობისა გამო [illegible]ერთ ქუჩაში ფარნები არ ენთო, ხულიგანებმა და მოთარეშე ქურდებმა ვერავითარი [illegible]ნება ვერავის მიაყენეს.

სურათი მალე შეიცვალა. საქმე გამწვავდა 17 დეკემბრიდან. ამ დღეს გამოცხადდა გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილებანი, რომლითაც მცხოვრებთ აეკრძალათ [illegible]ლის ტარება, ქუჩებში თა[illegible] [illegible] [illegible]სვლისა და ჯარის [illegible] [illegible] [illegible]თა ჩხრეკისა. [illegible] აგრეთვე 17 დეკემბერს 12 საათიდან უსათუოდ გაეღოთ მაღაზია-დუქნები. ვინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილებოდა, სანოვაგის დუქნები სამხედრო ძალით გაიღებოდა, ხოლო სხვა სავაჭრო დაწესებულებათა პატრონები დაჯარიმებულ იქნებოდნენ 3000 მან. ან დაისჯებოდნენ 4 თვის დაპატიმრებით და აგრეთვე ნება აღარ მიეცემოდათ საომარ დროის მოქმედების განმავლობაში მაღაზია-დუქნების გაღებისა. სავალდებულო დადგენილებებმა ტფილისის ცხოვრებას მუხრუჭი მოუჭირეს. ქალაქს მწუხარების ზეწარი გადაეფარა. ამ დროს [illegible] ხულიგანები და ბნელი ძალები, რომელთაც თავისმა [illegible] ამოჰყვეს თავი და შეუდგნენ თარეშს. სადაც მიმალული ჯაშუშები და მსგავსი [illegible] სცენაზე გამოვიდნენ. ცხოვრება [illegible] საშინელების მოლოდინში მიიკმინდა. [illegible] სისხლის სუნი დატრიალდა. ყველა მო[illegible] და რაღაც არა ჩვეულებრივს, რაღაც უბედურებას; შეიძლებოდა თუ არა, კარში აღარავინ მიდიოდა. დღისით ქუჩებში ყაზახები, რო[illegible] ცხენოსანი ისე ქვეითა, შეიარაღებულნი [illegible]. ამ დღეს საღამოთი დააპატიმრეს [illegible] ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხე[illegible] [illegible] წევრები.

17 [illegible] დეკემბერს დილით სავალდებულო დად[illegible] გამოცხადდა, ხოლო საღამოდან ჩხრეკას. პირველად უბედურება და[illegible] [illegible] ნაძალადევს, რომლის მცხოვრებნი აწიოკებენ ნაშუადღევის 3—4 საათიდან [illegible] ერით. ნაძალადევს დიდძალი ჯარი [illegible] [illegible]ლეთიდან, სამხრეთიდანა [illegible]

[illegible] 80-მდე [illegible] ვერავის [illegible]

ხეს. მიაგნეს მხოლოდ ნაძალადევის ეკლესიის სარდაფში 8 ყუმბარას და კერძო სახლებში 11-მდე თოფს. დილის 10 საათზე გამოირკვა, რა შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა ნაძალადევში. ნაძალადევი აკლებულ იქნა. დაჭერილებიდან 7—8 კაცს გარდა ყველანი ცოტას ხანს შემდეგ გაანთავისუფლეს და მერე ნაძალადევს ალყა მოხსნეს და წავიდნენ. ხოლო ნაძალადევის შესავალთან დღევანდლამდე სალდათები დგანან და არავის არ უშვებენ თუ პატრიოტულ პარტიის ბილეთები არა აქვთ. მოეკლათ 8 კაცი, ხოლო დაეჭრათ სამი. მოკლულები აღმოჩნდნენ პეტრე ცინცაძე, ილია ნინიძე, გიორგი ელიავა, მინა კალაძე, ვასილ თვარაშვილი, ვანო ხუცურია, ტუხა ლაზიაშვილი და ვანო თვარაძე. დაჭრილები იყვნენ გალაქტიონ ძაგნიძე, კამო და გერასიმე ღვალი. ეს უკანასკნელი იმავე დღეს გადაიცვალა, ხოლო კამო მეტეხის ციხეში წაიყვანეს. საშინელ სანახაობას წარმოადგენდა დახოცილები. ზოგს ყელი ჰქონდა გამოჭრილი, ზოგს მუცელი გაფატრული, სახე დამახინჯებული.

ასეთის ამბის შემდეგ გაფიცვა უფრო გაძლიერდა. გაფიცვის ბიუროს მოწოდებით ქალაქი მარტო პურსა და წყალზე უნდა ყოფილიყო. ამავე დღეს, 18 დეკემბერს, ტრამვაის ვაგონებმა შესწყვიტეს მიმოსვლა. ქალაქის ბევრს ნაწილებში მეპურეებს ფქვილი გამოჰკლეოდათ და პური აღარსად იშოვებოდა. მხოლოდ აქა-იქ გამოეცხოთ და ხალხი ისე ესეოდა, როგორც ბუზი თაფლს. ბევრგან ნავთიც გამოილია.

დილით ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს კრება ჰქონდათ, დეპუტატები ამოირჩიეს და გენ. მალამას აცნობეს, 19 დეკემბრიდან მუშაობას შევუდგებით თუ ჩვენს ახლად შემუშავებულ მოთხოვნილებებს შეგვისრულებთო. მოხელეთ ითხოვეს, ოლქის უფროსის ლინდენისა და იმის თანაშემწის ივანოვის გადაყენება, გაფიცვის ჯამაგირების მიცემა, ამხანაგების საპატიმროებიდან განთავისუფლება, საამხანაგო სასამართლოს დაწესება და სხვ. გენერალმა მალამამ აღუთქვა შესრულება მოთხოვნილებათა. ამიტომ მოხელეებმა გადასწყვიტეს 19 დეკემბრიდან დაეწყოთ მუშაობა.

18-სავე დეკემბერს ტფილისის ვაჭრებს 200-მდე კაცს კრება ჰქონდათ და ამოირჩიეს ბიურო, რომელსაც დაავალეს ეშუამდგომლნა გენ. გუბერნატორთან უზრუნველ ეყო მათი მდგომარეობა, თუ 19 დეკემბრიდან ვაჭრები სავაჭრო დაწესებულებებს გააღებდნენ და ვაჭრობას შეუდგებოდნენ. სადგურზე აღმოჩნდა 13 ვაგონი შაქარი და 8 ვაგონი პურის ფქვილი. ერთი ნაწილი შაქრისა, გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქის გამგეობას გადაეცა, რომ მას ხალხისთვის მიეყიდნა. 19 დეკემბერს ქუჩებში პატრულები გამრავლდნენ. რადგანაც ამ დღეს ბევრი მაღაზია-დუქანი არ გაიღო, მთავრობის განკარგულებით, ოფიცრები ჯარის კაცებთან უბან-უბნად შეუდგნენ იმ მაღაზიების სიის შედგენას, რომელიც არ გაეღოთ. ამ დღეს დილის 8 საათზედ რკინის გზის სადგურის მახლობლად რევოლვერით მძიმედ დასჭრეს მაშინისტი გოლოვაჩევსკი, რომელიც, რკინის გზის ლაზარეთში წაიყვანეს. გოლოვაჩევსკი პატრიოტულ საზოგადოების თავმჯდომარეს თანამდებობას ასრულებს. ნაშუადღევის [illegible] პოლიცმეისტრად ახლად დანიშნულ მარტინოვს თავს დაეცა ერთი [illegible] [illegible] სამჯერ რევოლვერი დაახალა [illegible] ვერ მოარტყა. უცნობს გამოუ[illegible] მაგრამ იგი მამა-დავითის ქუჩაზე სადღაც მიიმალა.

20 დეკემბერს აღარც სანოვაგეს დუქნები გააღეს. პროკლამაცია გამოსცეს და გაიფიცნენ აფთიაქების [illegible]. მთავრობა ჯარის შემწეობით [illegible] დუქნების გაღებას. მიხეილის [illegible] მუშტაიდამდე დუქნები გააღეს [illegible] სალდათები დააყენეს. მე-9 ნაწ[illegible] [illegible] კონსტ. სნიტკომ თავისი [illegible] და ვაჭრებს მაღაზიები ძალით გააღებინა. ამავე საბოქაულოში დრაგუნთა პოლკის ოფიცერი დრაგუნებით დაიარებოდა და დუქნებს აღებინებდა. განტეხეს ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ დიდ-ზუბალოვის სანოვაგის დუქანი და უღლუხანოვის მაღაზია. მაღაზია-დუქნები ძალით გააღებინეს აგრეთვე ქალაქის სხვა ნაწილებში. თუმცა პოლიციის მოხელეებმა მთავრობას უარი გამოუცხადეს, რომ ისინი ვერ იკისრებენ დუქნების ძალათი გაღებასა და მცხოვრებლების ჩხრეკას, მაგრამ პოლიციელების ასეთ გადაწყვეტილებას წინ გადაუდგა ბოქაული სნიტკო, რომელმაც თავისუფლად დაიწყო მოქმედება. მთავრობამ პოლიციის უმცროს მოხელეებს ხიშტიანი თოფები დაურიგა და პოლიცია აიძულა ჯართან ერთად ემოქმედნა. ბრძანებაში ნათქვამი იყო, ვინც ამ განკარგულებას არ დაემორჩილება, სამხედრო სამართალში იქნება მიცემულიო.

(შემდეგი იქნება)

რუსეთის უკანასკნელი ამბები

მეორე საყოველთაო გაფიცვა დასრულდა. ამ გაფიცვას რუსეთის ბევრ ადგილას თან მოჰყვა ნამდვილი აჯანყება, შეტაკება ჯართან თოფ-ზარბაზნებით, სისხლის ღვრა და აწიოკება. ასე მოხდა, მაგალითად, მო[illegible]ში, პრიბალტიის მხარეს, სადაც ლა[illegible] და ესტონელები სცხოვრობენ, როსტოვში და ბევრგან სხვაგან. რამ გამოიწვია შეიარაღებული აჯანყება, დანამდვილებით არ ვიცით, რადგან ჯერ-ჯერობით შიდა რუსეთიდან, მთავრობის დეპეშების გარდა, თითქმის არავითარი ცნობა არ მოსულა. ასე თუ ისე, მთელი რუსეთი უზომო სისხლით მოირწყო, მთავრობამ გაიმარჯვა. მაგრამ ეს გამარჯვება ისეთივეა, როგორიც სხვა შინაური გამარჯვება იყო. ამ შეტაკებამ ერთხელ კიდევ ნათელ ჰყო, რომ რევოლიუციონურ ტალღის სამუდამოდ ჩაქრობა და ჩახშობა არა ძალას და იარაღს არ შეუძლიან.

საყოველთაო გაფიცვა ყველგან ერთ დროს არ დაიწყო, რადგან ფოსტა-ტელეგრაფის მოქმედების შეჩერების გამო შეუძლებელი გახდა შესაფერ განკარგულების დროზე გადაცემა. როგორც ვიცით, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე-მოსამსახურეთა გაფიცვა ჯერ ისევ ნოემბერს დაიწყო და მხოლოდ ეხლა, ამ ხუთიოდე დღის წინად, დასრულდა. ამ გაფიცვის გამო შიდა რუსეთის ამბებს ვერა ვტყობილობდით. რუსეთში-კი დიდი მოძრაობა იყო, აბობოქრებული ტალღა კიდეებიდან კიდემდე ეცემოდა და ბევრგან ანგრევდა და ანადგურებდა ყველაფერს, რაც წინა ხვდებოდა. ნამდვილ სურათს ამ მოძრაობისას და ყველა იმისა, რაც რუსეთში მოხდა, მკითხველებს ვერ დავუხატავთ, რადგან, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ხელთ არა გვაქვს დაწვრილებითი ცნობები. რუსეთის გაზეთები ჯერ არ მიგვიღია და დეპეშებიც კანტი-კუნტათ მოდის. ვსარგებლობთ იმ ორიოდე დეპეშით და გაზეთით, რომელიც ხელთ ჩაგვივარდა.

ბალტიის მხარე როგორც ეხლა ირკვევა, პირველი საერთო მოძრაობა ლატიშელებმა დაიწყეს პრიბალტიის მხარეს. ამას წინად ლატიშელთა ერის საერთო კრება მოხდა, რომელმაც შეადგინა კავშირი და გადასწყვიტა, გამოეცხადოს ახლანდელ მთავრობას სასტიკი ომი. ლატიშელებს დროებით მთავრობაც აურჩევიათ. ბრძოლის ველზე ლატიშელები გამოვიდნენ ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის პირველ რიცხვებში. უმთავრესად მოქმედებდნენ გლეხები, სოფლად მათ დაიჭირეს მდიდარ მემამულეთა სახლ-კარი, შეჰკრეს რკინის გზები და დაანგრიეს ხიდები. ქალაქში მუშებმა შეაჩერეს მთავრობის დაწესებულებათა მოქმედება, ნავთ-სადგურებში ხელთ ჩაიგდეს გემები. ხუთ დეკემბრისთვის ლატიშელებმა და ესტონელებმა მთელი ბალტიის მხარე მოსწყვიტეს რუსეთს. დაიწყო ბრძოლა იქ მყოფ ჯარსა და ხალხს შორის. ჯარის სიმცირის გამო თითქმის ყველგან ხალხი [illegible] იმარჯვებდა. აშკარად გამოირკვა, რომ ლატიშელები კარგად მომზადებულიყვნენ; მათ შეიარაღებული და დარაზმული სამოცი ათას კაცამდე ჰყავდათ და თუ ეხლა დამარცხდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთელ რუსეთში არ მოხდა აჯანყება და მთავრობამ შესძლო სხვა ადგილებიდან, სა[illegible] [illegible] [illegible]ეუტაკენ [illegible] ხიდი და დრაგუნთა რაზმი. ლატიშელებმა დაიჭირეს 30 დრაგუნი. ერთ ადგილას ლატიშელებმა სამხედრო მატარებელი გადააგდეს ლიანდაგიდან და ორასამდე ყაზახი მოჰკლეს და დასჭრეს; სხვაგან დრაგუნთა და ყაზახთა წვრილ-წვრილ რაზმებს იმწყვდევდნენ და ანადგურებდნენ. ქალაქებში მათ გადააყენეს და დაატყვევეს პოლიცმეისტერი და სხვა თანამდებობის კაცნი. ლატიშთა სარევოლიუციო მთავრობამ ფულის ნაცვლად გამოსცა განსაკუთრებული ნიშნები ზედ წარწერითა და ერთის მეთაურის სურათით. რევოლიუციონერებმა გამოუცხადეს მემამულეთ, ვინც ჯარს მოიწვევს, ცოცხალს არ გავუშვებთო, და ბევრგან აასრულეს კიდეც თავიანთი სიტყვა.

ასე მიდიოდა საქმე იმ დრომდე, ვიდრე მთავრობამ არ გადასწყვიტა დიდძალ ჯარის გაგზავნა და ბალტიის მხრის ხელ-ახლა დაპყრობა. ამბობენ, ლატიშელთა აჯანყების ჩასაქრობად გაიგზავნა პეტერბურგის სამხედრო ოლქის ჯარი, გვარდიის გარდა. ეს ჯარი, როგორც კანტი-კუნტად მოსულ ცნობებიდანა სჩანს, ორის, ვალკისა და დვინსკის მხრიდან შესულა ბალტიის მხარეს. მთელ ამ მხარეში საომარ დროის წესები გამოცხადდა. დაინიშნა გენერალ-გუბერნატორი, რომელმაც გამოსცა მეტად სასტიკი ბრძანებები და, სხვათა შორის, აკრძალა ლატიშთა და ესტონელთა გაზეთები. ბრძოლა თანდათან გამწვავდა. მარტო პატარა ქალაქს ტუკუმში, რომელიც აჯანყებულთ ჩაიგდეს ხელში, მოკლულ და დაჭრილ იქმნა 580 კაცი. პოლკოვნიკის სოლონინის რაზმს, რომელიც ვინდავის, ტალსენის და გოლდინგენის მაზრებში მოქმედებს, სასტიკი ბრძოლა უხდება ხალხთან. მთავრობის ცნობებით, ამ რაზმს შლოკსკის ვოლოსტში დაუპატიმრებია უმთავრესი აგიტატორები—მასწავლებელნი იზოლი და გრაუდინი და მუშები ზაკისი, რეინგოლდი და ანდერსონი. ეს უკანასკნელი სამი კაცი, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ, იქვე მოუკლავთ. მეორე რაზმი მთავრობის ჯარისა, ორლოვის მეთაურობით, 28 დეკემბერს მიახლოვებია ლემზალს, რომელიც აგრეთვე რევოლიუციონერების ხელშია. მეორე დღეს დიდ შეტაკებას მოელოდნენ. მთავარი ქალაქი რიგა ბრძოლის შემდეგ უკვე დაუჭერია ჯარს. შეტაკება ბევრგან მოხდა ქალაქში. დეპეშები ერთ ამბავს გადმოგვცემენ: 20 დეკემბერს სამასი შეიარაღებული კაცი დასცემია დრაგუნთა რაზმს, რომელიც „პროვოდნიკ“-ის ქარხანაში ყოფილა დაბანაკებული, მოუკლავს თერთმეტი დრაგუნი. თავდამსხმელნი ქარხანაში გამაგრებულან, მიშველებულ ჯარს დაუშენია ზარბაზნები და ქარხანა ნახევრად დაუქცევია. გამაგრებულნი დამორჩილებულან. ბევრი მომკვდარა და დაჭრილა. რიგაში ამ ჟამად დღე-ღამე ჩხრეკაა. აპატიმრებენ ხალხს და მიაქვთ დიდძალი იარაღი.

26 ნოემბერს გოლდინგენში სამხედრო რაზმმა მოჰკლა ადგილობრივ მემამულეთა მეთაური გოლუბოვსკი და სამი მისი ამხანაგი. 24 დეკემბერს ესტლანდიაში, ვეისენშტეინის მაზრაში ჯარმა მოჰკლა შულცე, ხელობით ტანისამოსის მკერავი, რომელიც ესტლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელს ატარებდა. საზოგადოდ მთავრობა მეტად სასტიკ ზომებსა ხმარობს ამბოხების ჩასაქრობად.

მოსკოვი. როგორც მთავრობის ცნობებიდანა სჩანს, ამაზე უფრო ძლიერი და დიდი შეტაკება ჯარსა და ხალხს შორის მოსკოვში მოხდა. მთელი მოსკოვი სისხლით მოირწყო. თორმეტი დღის განმავლობაში ამ უზარ-მაზარ ქალაქში, როგორც ნამდვილ ბრძოლის ველზე, დღე-ღამე გაისმოდა ზარბაზნების, ტყვიის მტყორცნელების და თოფების ხათქა-ხუთქი. დახოცილთა რიცხვი, როგორც ხმა დადის, ათი-ათას სულს აღემატება. დახოცილან ქალები და ბავშვებიც. ბევრგან მთელი უბნებია ზარბაზნებისაგან განადგურებული და მიწასთან გასწორებული. ზოგგან, სხვა რომ ვერა დაუკლიათ-რა, ცეცხლი წაუკიდებიათ სახლებისთვის. ერთის სიტყვით, მოსკოვს ნაპოლეონ დიდის შემოსევის შემდეგ არ ახსოვს ასეთი უბედურება. უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსკოვშიაც იგივე მოხდა, რაც ბალტიის მხარეს: პირველ ბრძოლის დროს საქმე ხალხის სასარგებლოდ მიდიოდა, ჯარი, სიმცირის გამო, ბევრს ვერას აკლებდა, მაგრამ შემ[illegible] [illegible] ჯარი ჩაიყვანეს პეტერბურგიდან და ვარშავიდან. ალბად, მოსკოველ მე[illegible] [illegible]ლი ჰქონდათ, რომ მხარს დაუჭერს პეტერბურგი, სადაც სამასი ათასი მუშაა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა და მოსკოვს მარტოს მოუხდა ბრძოლა. პირველ ხანს ორი თუ სამი პოლკიც გადავიდა ხალხის მხარეს, მაგრამ, [illegible] [illegible]ყობა, ახალ ჯარის მო[illegible] [illegible] [illegible]კემბრიდან გადმოგვცემენ ამბებს. მოგვყავს აქვე დეპეშების ცნობები.

8 დეკემბერი. ამ დღეს „აკვარიუმ“-ში მიტინგი გაიმართა. მიტინგის დროს ხმა გავარდა, ჯარი მოდისო. ხალხის მცირე ნაწილი უმთავრესს კარებისკენ გაქანდა, მაგრამ წინ ჯარი [illegible] ხიშტებით. დანარჩენთ ბაღის ხის ღობე გატეხეს და კამისაროვის სასწავლებლის [illegible]. სასწავლებლის დირ[illegible] [illegible] შემოერტყა. ათი [illegible] დააპატიმრეს 70 კაცი. ხალხს [illegible]

9 დეკემბერი. დღეს დილით საღამომდე მუშები მანიფესტაციებს მართავდნენ წითელის დროშებით. ყაზახები და დრაგუნები ჰფანტავდნენ ხალხს. დოლგოვკაში ხალხსა და ყაზახებს შორის შეტაკება მოხდა. ყაზახებმა ცხენებით ათი კაცი გასთელეს. კამერგერის ქუჩაში პოლიციამ შეიპყრო 42 კაცი, რომელნიც მაღაზიებს აკეტინებდნენ. ესენი სტუდენტები და კურსებზე მყოფი ქალები აღმოჩნდნენ. დაპატიმრებულთა სატუსაღოში გაგზავნის დროს, ერთ ეტლს დაეცნენ შიგ მყოფთა გასანთავისუფლებლად. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც დაიჭრა ერთი პოლიციელი და სტუდენტი ქალი. დღეს მცხოვრებნი უპუროდ დარჩნენ. საღამოთი სტრასტნის მოედანზე, ხალხმა იარაღი აჰყარა და ცემა დაუწყო ერთ დრაგუნს. მოსულმა დრაგუნებმა სროლა ასტეხეს. დაიჭრა ორი დრაგუნი და რვა კაცი ხალხიდან. აიკლეს ნიკოლაევის რკინის გზის საწყობი, სადაც სურსათი იყო.

10 დეკემბერი. ლუბიანსკის ქუჩაზე ფიდლერის სახლში შეკრებილიყო სამასი კაცი მებრძოლ რაზმისა. ღამე სამოგიტსკის პოლკის ერთმა როტამ იერიში მიიტანა ამ სახლზე. შიგ მყოფთ გადმოაგდეს ყუმბარა მოჰკლეს ერთი აფიცერი და ორი სალდათი. ჯარმა შვიდჯერ ესროლა ზარბაზნი ბევრი მოჰკლეს და დასჭრეს. ტრიუმფალნი კარებთან ხუთი ათასი კაცი ამ დღეს ბარიკადას მართავდა. აჯანყებულნი ითხოვენ საყოველთაო, პირდაპირ ხმის უფლებას და დამფუძნებელ კრებას. ბარიკადები გამართეს ტელეგრაფის ბოძებისა, ქვებისა, ალაყაფის კარებისა და დარაბებისაგან. დილით მებრძოლმა რაზმმა ხომიაკოვის სახლიდან სროლა დაუწყო პოლიციელთა რაზმს, ხოლო სადოვაიას ქუჩაზე—სუმსკის დრაგუნებს. ასეთივე შეტაკება დრაგუნებთან მოხდა მიუსსა და სტარსტნის მონასტერთან. მოკლული ორისავე მხრიდან ოცამდეა. დაჭრილთა რიცხვი არ იციან. მარტო ერთ საავადმყოფოში 21 დაჭრილი მიიყვანეს. პოლიცია იარაღს ართმევს რევოლიუციონერებს. მოსკოვის სხვა ადგილებშიაც მოხდა შეტაკება მებრძოლ რაზმსა და დრაგუნებს შორის. არიან დაჭრილი მუშები. ტვერსკის ბულვარზე ორი ზარბაზანი დასდგეს.

დილის 4 საათზე ფიდლერის სასწავლებელში გამაგრებული რევოლიუციონერები დამორჩილდნენ ჯარს. დააპატიმრეს 120 კაცი. მათ შორის არიან ქალებიც. ჩამოართვეს 15 რევოლვერი, 18 თოფი, მრავალი ხანჯალი და 13 ყუმბარა. პირველად რევოლიუციონერებმა სროლა ასტეხეს და ორი ყუმბარა ისროლეს. მოჰკლეს აფიცერი და დასჭრეს ორი სალდათი. როდესაც სახლს ზარბაზნები დაუშინეს, რევოლიუციონერებმა თეთრი დროშა გამოჰფინეს. ჯარმა შეჩერა ზარბაზნების და ტყვიის მტყორცნელების სროლა, მაგრამ მეამბოხეთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა და სახლიდან ხელ-ახლა დაიწყეს სროლა. ამის შემდეგ თორმეტჯერ გაისროლა ჯარმა ზარბაზნები, ტყვიის-მტყორცნელები და თოფები. რევოლიუციონერები დამორჩილდნენ. მათ შორის მოკლული აღმოჩნდა ხუთი, ხოლო დაჭრილი თხუთმეტი. შენობაში ყველგან ბარიკადები გაემართათ. ერთ ოთახში აღმოჩნდა ლაზარეთი ავადმყოფებით, რომელთათვისაც კრილობები უკვე შეეხვიათ. დაპატიმრებულნი საპყრობილეში წაიყვანეს. პოლიციის ბრძანებით, იმ ქუჩებზე, რომელზედაც ესენი გაატარეს, სახლის [illegible] ჯრები და კარები მაგრად ჩაკეტილ[illegible] ეხლა ფიდლერის სახლში იარაღს [illegible] დაჭრილი სახლის პატრონი [illegible] დააპატიმრეს აგრეთვე აფიცერ[illegible] კომიტეტი. ზარბაზნის ყუმ[illegible] კედლები შემტვრია. [illegible] გადასასვლელად რევ[illegible] კის კიბეები გაემარ[illegible] [illegible]ბმა დაიჭირეს ს[illegible] დასცეს. [illegible] ყუმბარა ეს როლეს [illegible] სადგომს შინ[illegible] ერთი მოსამსახურე. [illegible] ტვერის ბულვარზე სროლა იყო [illegible] და რევოლიუციონერებს შორის, რომელნიც ბარიკადებს ამოფარებოდნენ. [illegible] რევოლიუციონერებმა იარაღი [illegible] პოლიციის [illegible] [illegible] სროლა ასტეხეს და [illegible] [illegible] სახალხო მილიციის რევოლიუციონერებთან საბრძოლველად.

ამ დღეს, 10 დეკ[illegible] [illegible]ლი ცხოვრება შეჩერ[illegible] სროლაა თოფებისა და [illegible] ხალხს არ უშვებენ, [illegible] სხვა ქუჩებიდანაც [illegible] დანსა [illegible] [illegible] საავადმყოფოებში [illegible] სანიტარებს. მოკლული ათამდეა. ქუჩაზე მიმავალ დრაგუნებს ფანჯრებიდან ესროდნენ მთელი დღე სროლა იყო ტყვიის-მტყორცნელებისა და ზარბაზნებიდან.

11 დეკემბერი. ნაშუადღევის 1 საათი და 15 წუთზე მებრძოლი რაზმი, ათას კაცისაგან შემდგარი, კალუგის კარებიდან ბრძოლით გაემართა პეტროვკასა და ცვეტნოი ბულვარისაკენ. რევოლიუციონერები თავს დაეცნენ პოლიციის ნაწილს. დაზარალდა პოლიციის ორი ნაწილი. სუხარევის მოედანზე რევოლიუციონერები იერიშით ეცნენ სალდათებს, რომელნიც ახლდნენ სამხარეულოს, და წაართვეს თოფები. თეატრის მოედანზე არტილერია და ქვეითი ჯარია. პოლიციელებს ებრძანათ, ფორმის ტანისამოსი აღარ ჩაიცვან. წუხელ რევოლიუციონერებმა „მეტროპოლის“ სასტუმროში ააფეთქეს თოფის მაღაზია. რევოლიუციონერები შევიდნენ მაღაზიაში და იარაღი წაიღეს. გაუფრთხილებლობით ცეცხლი წაეკიდა თოფის პატრონებს და აფეთქდა. ექვსი რევოლიუციონერი ცეცხლში დაიღუპა, ბევრი დაშავდა. მოსულმა დრაგუნებმა სროლა ასტეხეს და ხალხი გაფანტ[illegible]

ტეს. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ცვეტნოის ბულვარზე ბარიკადებია. რევოლიუციონერები ხეებს ხერხავენ. 4 საათზე ტვერის ქუჩა ჯარმა გასწმინდა ბარიკადებისაგან. შესწყვიტეს მოსვლა ამ ქუჩაზე. მებრძოლი რაზმები ჯარს საფარებიდან ესვრიან, შემდეგ გარბიან. სალდათები ძალზე გაბრაზებულნი არიან. განუწყვეტელი სროლაა ზარბაზნებისა, ტყვიის-მტყორცნელებისა და თოფებისა.

სტრასტნოის მოედანსა ტვერისა და სხვა ბულვარებზე განუწყვეტელი სროლაა მებრძოლ რაზმსა და დრაგუნებს შორის. ნიკოლაევის ვაგზალთან ჯარმა გაფანტა დიდძალი ხალხი, რომელსაც უნდოდა ხელთ ჩაეგდო ვაგზალი და შეეკრა პეტერბურგის გზა. ბარიკადების დასანგრევად დრაგუნები ზარბაზნებიდან კარტეჩს ისროდნენ. დრაგუნები ანგრევდნენ ბარიკადებს, ხოლო ცეცხლის მქრობელი რაზმი ცეცხლს უკიდებდა. დიდი და ძლიერი შეტაკებები მოხდა არკატნაიას, ძადოვის, წევლინის ქუჩებზე, ტრუბნის მოედანზე და ცვეტნოის ბულვარზე. აქ ზარბაზნებიდან მთელ დღეს ისროდნენ. კარეტნის ქუჩაზე რევოლიუციონერები ჩაუსაფრდნენ, 20 ჟანდარმს, და ყველანი დახოცეს. ფიქრობენ, რომ გუშინ ხუთას [illegible]ამდე დაიჭრა, ხო[illegible] დღეს—ამაზე ბევ[illegible] მეტი. საღამოთი სროლა თითქოს მიყუჩდა. შეტაკებები საღამოთი დაიწყო ზამოსკვორეჩიეში და ქა[illegible]ის განაპირა ადგილებში. [illegible]ვე მხრიდან არიან მოკლულნი და დაჭრილნი. ყველა ვაგზლები ჯარს უჭირავს.

12 და 13 დეკემბერი. ამ დღეების შესახებ დეპეშებში არავითარი ცნობები არ არის.

15 და 16 დეკემბერი. ამ დღეების შესახებ ცნობები არ არის.

14 **დეკემბერი.** ტვერის ქუჩაზე სახლებს ყუმბარების და ტყვიის ნიშნები ეტყობა. ჩამტვრეულია ფანჯრები. ზოგგან კედლებია დახეთქილი. დღეს ზარბაზნებს უშენენ ტრამვაების პარკს. რევოლიუციონერების რაზმები ერთი ვერსის მანძილზე არიან გაჭიმულნი, ყაზანის ვაგზლიდან დაწყებული პრესნამდე. უგზოთობის გამო ქალაქში ათასი ხმა დადის. ბევრი მუშა გარბის ქალაქიდან. კრემლი დაკეტილია. შუადღემდე ზარბაზნების სროლა განუწყვეტელი იყო ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში. მებრძოლნი ახალ-ახალ ბარიკადებს მართავენ.

17 **დეკემბერი.** დღეს გამოქვეყნდა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის განცხადება. გენერალ-გუბერნატორი აცხადებს: [illegible] მეა[illegible] [illegible]ხენი დიდრონ შეტაკებებში დამარცხდნენ და ეხლა პატარ-პატარა რაზმებად იყვნენ. საფარებიდან ესვრიან პოლიციას და ჯარს. ამის გამო ქალაქის ზოგიერთ ნაწილებს გარეშემო ჯარი შემოერტყა. პეტერბურგის და ვარშავის ოლქებიდან ჯარის მოსვლის შემდეგ ადვილი გახდა ამბოხების ჩაქრობა. ჯარი გაიგზავნა ყაზანის გზაზედაც, საიდანაც მეამბოხეებს იარაღი მოსდიოდათ. ჯარი ქალაქ რიაზანამდე ივლის და დააპატიმრებს რევოლიუციონერებს. ჟენევიდან მოსული მეთაურები დაიმალნენ. პრესნის გაწმენდა, სადაც რევოლიუციონერებმა დაიბუდეს, მიენდო სემენოვის პოლკის უფროსს პოლკ. მინს. უმთავრესი ბინა რევოლიუციონერებისა პროხოროვის მანუფაქტურა იყო. ამ ქარხანას ზარბაზნები დაუშინეს. ზოგიერთი სახლები დაიქცა. შმიტის ქარხნიდან განდევნილმა მეამბოხეებმა პროხოროვის ქარხანას შეაფარეს თავი. ტყვედ ჩაიგდეს ქარხნის პატრონი პროხოროვი. ზარბაზნების სროლის შემდეგ მუშებმა იარაღი დაჰყარეს. ჯარმა მოითხოვა, რომ მუშებთან ერთად რევოლიუციონერებსაც აეხსნათ იარაღი, მაგრამ იმედი არ არის, რომ მუშებმა დაიყოლიონ რევოლიუციონერები. ხვალ ხელ-ახლა დაუშენთ ზარბაზნებს. ჯარიდან მოკლულ იქნა ორი სალდათი, დაიჭრა მძიმედ ერთი, მსუბუქად—ოთხი“.

ღამე ჯარმა ზარბაზნები დაუშინა პროხოროვის ქარხანას, სადაც ათი ათასი მუშა და რევოლიუციონერი შეიკრიბა. ქარხანას გარეშემო ჯარი არტყია. ზარბაზნები დაუშინეს აგრეთვე კურნოსოვის ხუთ სართულიან სახლს დუდინის ქუჩაზე. მოსკოვის მახლობლად, ახალ სოფელში ცეცხლი წაუკიდეს საჩაიეს, სადაც მეამბოხენი იყვნენ. მოსკოვ-რიაზანის გზაზე, მიმოსვლის [illegible]ლების დროს, დაიჭრა ორასი რევოლიუციონერი და შვიდი სალდათი.

ამავე დღეს, საღამოს 5½ საათზე, დიდი რაზმი ზარბაზნებით და ცხენოსან ჯარით გაემართა პრესნის შემოსარტყმელად. რაზმი ოთხის მხრიდან მიადგა ამ ადგილს. მთელ ღამეს სროლა იყო. რევოლიუციონერები იმალებიან. რამდენსამე სახლს ზარბაზნების ყუმბარებისაგან ცეცხლი გაუჩნდა. დაინგრა შმიტის ქარხანა, სადაც რევოლიუციონერები გამაგრებულიყვნენ. ქალაქის შუაგულში სიმშვიდეა. ორშაბათს მუშაობას შეუდგნენ ასოთ-ამწყობნი, ფარმაცევტები, ქარხნები და ფაბრიკები. ფოსტასა და ტელეგრაფზედაც განახლდა მუშაობა. 17 დეკემბრამდე მოსკოვში დაშავდა 15 პოლიციელი. ამ დღეს ჯარმა იერიშით აიღო 9 სახლი, სადაც რევოლიუციონერები იყვნენ. ბევრია დაჭრილი და მოკლული რევოლიუციონერი. მრავალი დაპატიმრებული. პრესნა აიღეს. დასწვეს იქ რამდენიმე სახლი. გადასწვეს ზოოლოგიის და ბოტანიკის ბაღები, სადაც რევოლიუციონერები იყვნენ თოფებით და ტყვიის მტყორცნელებით. ბევრი მებრძოლი დაიღუპა. შმიტის ქარხანა დაანგრიეს. ყაზახებმა იერიშით აიღეს მოსკოვ-კურსკის ვოგზალი და წაართვეს მეამბოხეთ ორი ვაგონი, თოფებით სავსე. ამ დღეს დააპატიმრეს 600 კაცი სტუდენტები, კურსისტი ქალები და რვა ინტელიგენტი.

19 **დეკემბერი.** რადგან პროხოროვის ქარხანაში მყოფი რევოლიუციონერები არ დამორჩილდნენ, ჯარმა ცეცხლი წაუკიდა ქარხანას და გადასწვა. დაიღუპა დიდძალი ხალხი. ამ ქარხნის რამდენი შენობა გადაურჩა ცეცხლს.

20 **დეკემბერი.** აშიტკოვის სადგურზე გლეხთა თხოვნით ჯარმა დახვრიტა სადგურის უფროსი, იმისი თანაშემწე და ფოსტის მოხელე. გაჩხრიკეს პროხოროვის ქარხნის გადარჩენილი სახლები და მუშათა უბნები. ნახეს ყუმბარები, რევოლვერები, ხანჯლები, ხმლები. ჯარი შემოერტყა სერებრიაკოვის სასწავლებელს, სადაც რევოლიუციონერებს სასადილო გაემართათ. ორი კაცი, რომელთაც წინააღმდეგობა გასწიეს, დახვრიტეს.

დღეს ქალაქის საბჭომ დაზარალებულ ღარიბ მცხოვრებთა სასარგებლოდ გადასდო თხუთმეტი ათასი მანეთი. ქალაქი თავის მოსამსახურეებს გაფიცვის დროში ჯამაგირს არ აძლევს. ქალაქის თავმა განაცხადა, რომ საავადმყოფოებში 349 დაჭრილი წევს.

22 **დეკემბერი.** დღეს გამოაქვეყნეს გენერალ-გუბერნატორის განცხადება. გენერალ-გუბერნატორი აცხადებს, რომ ამბოხება საბოლოოდ ჩავაქრეთო. მეამბოხეთა ხელმძღვანელების უმრავლესობა დაპატიმრებულ იქნა, მაგრამ მეამბოხეთ მაინც მოასწრეს არჩეულ მეამბოხეთა დამალვა. თითო-ოროლა რევოლიუციონერნი განაგრძობენ ბრძოლას, მაგრამ 25 დეკემბერისთვის ქალაქს სულ ერთიან გასწმენდავს ჯარი რევოლიუციონერებისაგანაო.

26 **დეკემბერი.** სხვა და სხვა კრებები, დღეისთვის დანიშნული, ვერ გაიმართა. დღეს ხელ-ახლა გაიხსნა თეატრები და კლუბები. გარბატისა და პრესნის ხიდებზე სროლა დაუწყეს პოლიციის სადარაჯოებს. ღამე ვახმისტრს დრაგუნს ალექსის მონასტერთან შემოხვდა სამი კაცი. ვახმისტრი იქვე გაჩერეს. პატრულმა ორი კაცი მოჰკლა, მესამე დაიმალა, მაგრამ დილით შეიპყრეს.

27 **დეკემბერი.** ვინდავის გზის მოსკოვის სადგურზე დააპატიმრეს მოსკოვის გაფიცვის მომწყობ კომიტეტის თავმჯდომარე ვერნი. მოსკოვის ელექტრონის სადგურზე დააპატიმრეს მოსამსახურე გრიუნალი, რომელსაც აღმოაჩნდა შეიარაღებულ მეამბოხეთა სიები. ხმა დადის, რომ გაფიცვის მომწყობთა ერთმა მეთაურმა ყაზანის გზით მოასწრო საზღვარ-გარედ გასვლა და თან კომიტეტის 100,000 მანეთის წაღებაო.

როსტოვი. როსტოვშიაც შეიარაღებული შეტაკებები გაფიცვის პირველ დღეებშივე მოხდა. იქაც მუშები და რევოლიუციონერები კარგად შეიარაღებულნი აღმოჩნდნენ. მეამბოხეთ დაიჭირეს რკინის გზის სადგური და იმის მიდამოები. ჯარმა რამდენსამე დღეს ვერ აიღო სადგური. სამაგიეროდ ყაზახები ქალაქში დათარეშობდნენ და იკლებდნენ ყველაფერს. მთავრობამ საომარ დროის წესები გამოაცხადა, დანიშნა გენერალ-გუბერნატორი, დაიბარა ჯარი და ზარბაზნებით შეუდგა რევოლიუციონერების დამორჩილებას.

21 დეკემბრის დეპეშა იუწყება: გუშინ, 20 დეკემბერს, განუწყვეტელი სროლა იყო ზარბაზნებისა, ტყვიის-მტყორცნელებისა და თოფებისა. ღამე რევოლიუციონერები გაიფანტნენ. დარჩენილთ გამოჰფინეს თეთრი დროშა. რევოლიუციონერებს შორის ბევრია მოკლული და დაჭრილი. ბევრნიც დააპატიმრეს.

გენ. შირინკინის მიერ 25 დეკემბერს მიღებული დეპეშა იუწყება: როსტოვისა და მინერალნი ვოდის სადგური ჯარმა ბრძოლით აიღო. ჯარმა დაიჭირა აგრეთვე ყველა სადგურები კავკასიის გზისა როსტოვიდან დაწყებული ბესლანამდე. ცნობები არ არის პეტროვსკისა, გროზნისა და ნოვოროსიისკის შესახებ. გაფიცულთ დაატყვევეს პოდპოლკოვნიკი მარტოვი. პოდპოლკოვნიკის შჩერბაკოვის შესახებ ცნობები არ არის, იგი სადღაც დაიკარგა. ბევრ ხალხს ვაპატიმრებთ და იარაღს ვართმევთ.

როსტოვის გენერალ-გუბერნატორის დეპეშა გრაფ ვიტტესთან: არტილერიის, ქვეითა ჯარის და ყაზახების მხნე მოქმედების წყალობით, მეამბოხეთ ღამე დაჰყარეს იარაღი და გაიქცნენ გამაგრებულ ადგილებიდან. ზატემერნიცკის უბანში ყველა სახლს ვჩხრეკავთ, რადგან ამ უბანმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია.

სხვაგან

შეიარაღებული შეტაკება ბევრგან სხვაგანაც მოხდა, მაგრამ დაწვრილებითი ცნობები არ არის. მოვიდა მხოლოდ თითო-ოროლა დეპეშა.

ტაგანროგიდან 22 დეკემბერს იუწყებიან: გაფიცვა აშკარა რევოლიუციონურ მოძრაობად გადაიქცა. მუშებმა დახურეს მაღაზიები, ბანკები, სასამართლოები. საგანგებო დაცვის წესების შემოღების შემდეგ ამბოხება ჩაქრა. ჯართან შეტაკების დროს დაიჭრა შვიდი მუშა და ორი ყაზახი. დაპატიმრებულ იქმნა თორმეტი მეთაური.

ნოვოროსიისკის შესახებ 28 დეკემბრის დეპეშა გადმოგვცემს: 27 დეკემბერს საომარ დროის წესების გამოცხადების შემდეგ ნოვოროსიისკი და იმისი ოლქი განთავისუფლდა რევოლიუციონერთა ხელისაგან. ქალაქი და ოლქი რევოლიუციონერებმა ხელთ ჩაიგდეს 8 დეკემბერს და მას შემდეგ 28 დეკემბრამდე ბატონობდნენ. ეხლა ყაზახები ხალხს იარაღს ართმევენ. ჩხრეკავენ სახლებს და აპატიმრებენ რევოლიუციონერებს. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან ქალაქის თავი ნიკულინი.

ოპატოვში, როგორც 27 დეკემბრის დეპეშა გადმოგვცემს, შემდეგი ამბავი მომხდარა: მოხდა შეტაკება ჯარსა და ხალხს შორის. სროლა საღამოს ოთხიდან 5 საათამდე გასტანა. ბევრია მოკლული და დაჭრილი. ჯარიდან არავინ დაშავებულა. უნოვში შეიარაღებულ მეამბოხეთ აიკლეს გმინის სამმართველო, სასამართლო, სახაზინო. ქაღალდები, წიგნები და მოწყობილება გაანადგურეს.

ბახმუტი, 22 დეკემბერი. გრიშინოს სადგური დაიჭირა ეკატერინოსლავიდან მოსულმა ჯარმა. დააპატიმრეს მეთაურები. ნახეს 3000 ფუთი დინამიტი, 26 ყუმბარა, დიდძალი იარაღი და პატრონები. ავდეევის სადგური მცირე სროლის შემდეგ ჯარმა დაიჭირა. მეამბოხეებს წაართვეს დიდძალი იარაღი, პატრონები და ოთხი ტყვიის-მტყორცნელი. ბახმუტის მაზრაში დააპატიმრეს გაფიცვის მომწყობი კომიტეტები.

ვარშავა, 20 დეკემბერი. შეიპყრეს ანარქისტთა ბრბო. ანარქისტებს აღმოაჩნდათ 150 ნაჭერი დინამიტი და 19 ყუმბარა.

იაროსლავში 11 დეკემბერს შეტაკება მოხდა ჯარსა და მუშათა შეიარაღებულ მილიციის შორის. ხალხიდან მოკვდა ექვსი და დაიჭრა 20 კაცი. ჯარიდან დაიჭრა პოდესაული ანდრეევი და სამი ყაზახი, ამათგან ერთი სასიკვდილოდ.

ყველა ზემოდ აღნიშნულს გარდა რუსეთის ბევრ ადგილას შემოიღეს საომარ დროის, საგანგებო და გაძლიერებულ დაცვის წესები, ალბად იმიტომ, რომ იქაც შეიარაღებული შეტაკებები მოხდა. სხვათა შორის, ასეთი წესები შემოიღეს: მთელს პოლონეთში, თერგის ოლქში, უფის გუბერნიაში, სუმში, სუხოვკაში ტამბოვისა და ჩერნიგოვის გუბერნიებში, აგრეთვე სარატოვსა და სარატოვის გუბერნიის ხუთ მაზრაში და მრავალ სხვაგან.

ახალი ამბავი

◆ **ტყუილი ამბავი.** გაზეთ „სხივი“-ს მე-10 ნომერში დაბეჭდილია: „ცნ. ფურცელი“ ასოთ-ამწყობებს დაეძებს თურმე, რადგან ძველი ასოთ-ამწყობები სულ სხვა პარტიისანი აღმოჩნდნენ. „ცნ. ფურც.“-ს რედაქტორს ძველი ასოთ-ამწყობები სულ დაუთხოვნიაო“. ეს ამბავი თავით ბოლომდე სიმართლეს მოკლებულია: რედაქტორს არც ძველი ასოთ-ამწყობები დაუთხოვნია და არც ახალი უძებნია. გაზეთი ამ ორ დღეს სულ სხვა მიზეზით არ გამოსულა.

◆ **ტფილისის გენერალ-გუბერნატორი.** ტფილისის გენერალ-გუბერნატორად, გენერალ მალამას ნაცვლად, დაინიშნა ცნობილი გენერალი ალიხანოვ-ავარსკი.

◆ **საომარი წესები ქართლში.** გორისა და დუშეთის მაზრებში ხელ-ახლა გამოცხადდა საომარ დროის წესები. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა ადგილობრივ ჯარის უფროსი გენერალ-მაიორი ბაუერი.

◆ **რკინის გზა სამხედრო უწყების ხელში.** ამიერ-კავკასიის რკინის გზა, როგორც მკითხველს ეცოდინება, დროებით სამხედრო უწყებას გადაეცა. რკინის გზის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი ნეეგბაური. რკინის გზის სადგურზე არავის, არც მოსამსახურეებს და არც მგზავრებს, არ უშვებენ ისე, თუ ჟანდარმთა გამგეობის ბილეთი არა აქვს.

◆ **ფოთში ჯარის ჩამოსვლა.** დაბეჯითებით ამბობენ, რომ ფოთში ერთი დივიზია ჯარი ჩამოსულა გემებით. ამ ჯარის დახმარებით ჰფიქრობენ იარაღი აჰყარონ დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთ.

◆ **ტფილისის პოლკის გამგზავრება.** ტფილისის პოლკიდან გამოანაწილეს 3 როტა. ამათ, როგორც ისმის, ქუთაისისკენ ჰგზავნიან.

◆ **ლიანდაგი ჯარის ხელში.** ტფილისიდან გორამდე ლიანდაგი ჯარის ხელშია. ჯარი ამ ჟამად მიემართება გორზევით ხაშურისა და ბორჯომისაკენ.

◆ **გუბერნატორის სტაროსელსკის გადაყენება.** ტფილისში ხმა დადის, რომ მთავრობამ აიძულა ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი სტაროსელსკი სამსახურისათვის თავი დაენებებინაო.

◆ **ნაძალადევზე ალყის შემორტყმა.** ახალწლიწად დღეს ნაძალადევს კვლავ შემოარტყა ჯარმა ალყა და რამდენიმე სახლიც გასჩხრიკა. ნაძალადევიდან მრავალი ხალხი გადასახლდა.

◆ **ავტოკეფალიის სვე-ბედი.** ქართველ სამღვდელოების დელეგატთა კრება დასრულდა ავტოკეფალიის პროექტის შემუშავებით. დედა აზრი ამ პროექტისა არის ეკლესიის განშორება სახელმწიფოსაგან და ხალხის საარჩევნო ფართო უფლება ე.ი. სასულიერო პირები ხალხის არჩეულნი უნდა იყვნენ. კრებამვე აირჩია დროებითი ბიურო 10 კაცისაგან. თანახმად მიღებული ცნობებისა, მთავრობა თანხმაა მისცეს ავტოკეფალია. 14 იანვრიდან სამღვდელოება ოფიციალურად აპირებს უწმ. სინოდთან კავშირის შეწყვეტას.

◆ **ხალხის დაპატიმრება.** ეს ერთი კვირაა ტფილისში დიდძალ ხალხს აპატიმრებენ. აპატიმრებენ მუშებს, გაზეთის თანამშრომელთ, სხვა და სხვა ორგანიზაციის წევრებს. სხვათა შორის, დააპატიმრეს ორი ჩვენი თანამშრომელი ს. ფირცხალავა (სიტყვა) და ვლ. ლორთქიფანიძე, „ივერიის“ რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი და სხვანი. სულ ტფილისში ორას კაცამდეა დაპატიმრებული.

◆ **სამხედრო სამსახურში გაწვეულთა შესახებ.** წელს სამხედრო სამსახურში გაწვეულ-ყმაწვილ კაცების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ისინი დატოვებულ იქმნენ კავკასიაში, ნამესტნიკმა არ შეიწყნარა და განკარგულება მოახდინა გამოეცხადოთ, რომ ეს საკითხი განხილულ იქმნება მომავალში, როდესაც გადაათვალიერებენ სამხედრო წესებსაო.

◆ **სწავლის დაწყება.** „კავ.“-ში დაიბეჭდა ნამესტნიკის ბრძანება. ამ ბრძანების ძალით, ის მასწავლებლები, რომელნიც 9 იანვარს სწავლას არ განაახლებენ, დათხოვნილნი იქნებიან.

◆ **განკარგულება ფოსტა-ტელეგრაფის უწყების შესახებ.** უმაღლესმა მთავრობამ განკარგულება მოახდინა, ფოსტა-ტელეგრაფის უწყების კავკასიის დაწესებულებანი მთავარ სამმართველოს დაექვემდებარდნენ და არა ნამესტნიკს, როგორც აქამდე იყო.

◆ **მატარებლები არ დადიან.** ბათუმისკენ მატარებლები ჯერ კიდევ არ დადიან. გრაკალს ზევით ლიანდაგი აშლილია. ამბობენ, სურამის ტუნელში ორი ორთქლმავალია ლიანდაგიდან გადაგდებულიო.

◆ **დეპოს მუშათა მდგომარეობა.** გუშინ, 2 იანვარს, სამუშაოდ მივიდნენ რკინის გზის სახელოსნოების მუშები და საქმეზე უნდა დამდგარიყვნენ, მაგრამ „პატრიოტებმა“ არ ისურვეს მათთან მუშაობა და არც მიუშვეს. გუშინვე სახელოსნოებში გაიგზავნა ჯარი წესიერების დასაცავად.

◆ **სავალდებულო დადგენილებანი.** 24 დეკემბერს გამოცხადებულ სავალდებულო დადგენილებათა ძალით, ტფილისში აკრძალულია ნაბდებით სიარული და დახურულ ეტლებში ჯდომა.

◆ **უპურობა.** ამ დღეებში ყარსიდან ტფილისში ჩამოიტანეს რამდენიმე ვაგონი პურის ფქვილი. დღევანდლამდე ტფილისში პურის დიდი ნაკლებულებაა. ამ გარემოებით სარგებლობენ ვაჭრები და ფასებს ძალიან უწევენ. ზოგგან სიმინდის ფქვილ ნარევ პურს გირვანქას 5 კაპ. და 6 კაპიკადაც ჰყიდიან.

◆ **ახალი გაზეთი.** ქართველ კათოლიკეთა ერთ მღვდელს განუზრახავს ქართულ ენაზე სასულიერო-საზოგადოებრივ გაზეთის გამოცემა. გაზეთს სახელად „ჯვარი ვაზისა“ ერქმევა.

◆ **გენერალი გოლოშჩაპოვი.** შუშასა და ევლახ შუა საფოსტო გზის სამხედრო უფროსად დაინიშნა გენერალი გოლოშჩაპოვი.

◆ **სამრევლო სკოლების სვე-ბედი.** პეტერბურგიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სამრევლო სკოლები საერო განათლების სამინისტროს ხელში გადადის.

◆ ამ ბოლო დროს ყასბებმა ღორებს კვლა დაუწყეს ბეითლების შეუმოწმებლად. რადგან შესაძლებელია ჭირის გავრცელება, პოლიცმეისტერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას ეს ამბავი და სთხოვა განკარგულება მოახდინოს, რომ შეუმოწმებელი ღორის ხორცი არ იყიდებოდეს.

პრესსა

პირველ იანვარს გამოვიდა ახალი ქართული გაზეთი ბ-ნ კ. მესხის რედაქტორობით—„პატარა გაზეთი“. როგორც პირველ ნომრიდანა სჩანს, ახალი გაზეთის რედაქცია მეტად გამწყრალია სოციალდემოკრატებზე აგრარულ პროგრამის გამო და აზრადა აქვს ემსახუროს მშრომელ ხალხის ინტერესებს, მაგრამ როგორ ესმის ეს ინტერესი მშრომელის ხალხისა—ამის შესახებ „პატარა გაზეთის“ მკითხველი პირველ ნომრიდან მაგარე რიგად გარკვეულ აზრს ვერ დაასკვნის. მეთაურ წერილში გაზეთი სწერს, საპროგრამო საკითხების შესახებ ყველაფერს ერთად ვერ ვიტყვით და თანდათან გავარკვევთ ჩვენს აზრებსაო. ჩვენის მხრივ ვუსურვებთ „პატარა გაზეთს“, მალე გამოარკვიოს თავისი შეხედულება ამ საკითხების შესახებ, რომლებსაც ამ ჟამად პირდაპირ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ და არა მხოლოდ თეორიული. ეხლა-კი აღვნიშნავთ, რომ „პატარა გაზეთის“ ფურცლებზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ოხუნჯობას და ხუმრობას.

მიტინგები

ალვანის ხეობაში (კახეთში). ჩვენმა სახელოვანმა მთავრობამ, რომელმაც იაპონიის ომში ლაჩრის სახელი დაიმსახურა და რომელმაც გაიმარჯვა მხოლოდ „შინაურ მტრებზე“, სხვათა შორის, გაამრავლა ავაზაკობა და ქურდობა. თუმცა ჩვენი ხალხიც კარგა ხანია ფიქრობს მომავლის შესახებ, თვალყურს ადევნებს მთელ რუსეთის მოძრაობას, იკრიბება ცალკცალკე და სჯა-ბაასობს თავის გაჭირვებულ ცხოვრების შესახებ, მაგრამ ის, რაც მოხდა ჩვენ მხარეს 24 ნოემბრიდან, ჯერ ხალხს არ ენახა. მხნე და გაბედული მოძრაობა გამოიწვია ქურდობა-ავაზაკობამ, რომელიც, აღარიბებდა ქვეყანას. სწორედ ამ ქურდობის გამო ალვანში გადასწყვიტეს წასულიყვნენ პანკისში (ქისტებთან) და გაეჩხრიკათ მათი სახლები. მართლაც ასულიყვნენ და თვით ქისტებსაც ძალიან მოსწონებოდათ ეს აზრი. სახლების და ეზო-კარის გასინჯვის დროს აღმოჩენიათ ბევრი ხორცი, ტყავები, თავ-ფეხი და სხვა, ეს სულ ნაპარავ საქონლისა. ხალხმა მღვდლის და მოლის დასწრებით შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობაზე. ამ ადგილას დაჰყო ხალხმა ორ დღეს და აქვე გადასწყვიტა, მოეხდინა დიდი ურილობა სოფელ მატანში (თიანეთის მაზ. ალვანის ხეობა) ისევ ქურდობა-ავაზაკობის მოსაშორებლად და სხვა საკითხების განსახილველად. მაგრამ ამ ურილობამ, როგორც ქვემოდ დაინახავს მკითხველი, საზოგადო ხასიათი მიიღო, საზოგადო საკითხების გამორკვევას შეუდგა.

პანკისიდან დაბრუნებულმა ალვანელებმა 27 ნოემბერს დაარბიეს თავიანთი მეზობლები 1 მანეთიდან 20-მდე, ის მეზობლები, რომელნიც საერთო საქმეში პანკისში არ გაჰყოლოდნენ.

ამავე დღეს ხალხმა გადასწყვიტა, მეორე დღეს მოეხდინა ალვანში ურილობა და ეცნობებინა მეზობელ სოფლებისათვისაც. 28 ნოემბერს ალვანში [illegible] ეკკლესიასთან მოხდა ხალხის მიტინგი. ამ მიტინგზე დაესწრო ბლომად ხალხი სხვა-და-სხვა სოფლებიდან (ალვანი, მატანი, ბაბანეური, არგოხი (თუშები) და თუშების სხვა სოფლებიდანაც). ურილობამ მიიღო ის ხასიათი, რა ხასიათიც დღეს [illegible] იყო. ამ მიტინგზე წარმოითქვა ფედერალისტებისაგან რამდენიმე სიტყვა. განმარტებული იყო საზოგადოდ სოციალისტ-ფედერალისტთა პროგრამა, იყო ლაპარაკი აწინდელ მოძრაობისა და ბევრ სხვა საგნებზე. მიტინგმა თავის დადგენილებაც მოახდინა, რომელსაც ბოლოში მოვიყვანთ. ერთის ორატორის წინადადებით, ხალხმა შეჰფიცა ერთმანეთს ერთობაზე. ხალხი შევიდა ეკკლესიაში, სადაც მღვდელმა ჯვარით და სახარებით ხელში ახლად შედგენილი ფიცი წაუკითხა ხალხს. ხალხი იმეორებდა მღვდლის წაკითხულს. ბოლოს ემთხვია ჯვარ-სახარებას და იგრიალა: „გაუმარჯოს თავისუფლებას, თანასწორობას, ერთობასო“! აქვე მოგვყავს ფიცის ტექსტი: „ვფიცავ თავისუფლებას! ვფიცავ თანასწორობას! ვფიცავ ერთობას! ვფიცავ იმას, რომ ამ საქმეში ვიღებ მონაწილეობას ჩემის ნებით! ვფიცავ იმას, რომ ამ საქმეს დავეხმარები მთელის ჩემის სახსრით! ვფიცავ იმას, რომ თუ ამ საქმეს ვუღალატე, სიკვდილით დამსაჯოს ხალხმა! ვფიცავ იმას, რომ ჩვენ საქმეში მოღალატეს მოვუსპობთ სიცოცხლეს!“ სწორედ ამ დღეს გადასწყვიტა ხალხმა, რომ მატანის მიტინგსაც იმ გვარი ხასიათი მისცემოდა, როგორიც ალვანისას.

2 დეკემბერს მოხდა მიტინგი მატანში. დასწრე სოფლებს ქვემოდ ჩამოვთვლით. ამ მიტინგის შესახებ ვაცნობეთ თელავშიაც, საიდანაც მოგვივიდნენ როგორც სოც.-ფედერ., ისე სოც.-დემ. თუმცა მეტად ცუდი ამინდი დაუდგა ხალხს, მაგრამ ხალხი დიდის ინტერესით უსმენდა ორსავე პარტიის ორატორებს. ხალხმა მიიღო სოციალისტ-ფედერ. პროგრამა და კავშირიც შეადგინა „მიწის მუშათა კავშირი“. ამ მიტინგზე დაადგინეს, რანაირი ორგანიზაციები უნდა დაწესდეს ხალხში, რათა თავიანთ ცხოვრებას ეხლავე მოუარონ; მით უმეტეს, რომ მიტინგმა დაადგინა—მოსპოს ყოველივე დამოკიდებულება მთავრობასთან. შინაურ საქმეების გასამართავად მიტინგმა დაადგინა: გაწესდეს ასის და ათის თავები და ერთიც ხუთასის თავი; დაარსდეს კომიტეტები. ამ რიგად, ხალხი ნელ-ნელა ეჩვევა თვითმმართველობას თავის ორგანიზაციებით და სხვათი. მიტინგმა აქვე დაადგინა რეზოლიუცია და მიიღო ფიცი კავშირზე.

კავშირში შესული სოფლები: ბაბანეურ (40 კომლი), მატანი (60), არგოხი (27), ფიჩხოვანი (44), დელეგანი (16), ბახტრიონ (20), ხორბალა (17), დუის-სოფელი (120

ჯაყელთ-სოფელი (40), ომალო-მირაჯა (61), ბირკიანი, ბიბახევი და სუბუქი (76), მებანი (250), მარელისი (251), ხევის-ჭალა (31), ახმეტა (370), საბუე (21), საბერთ (14), ქვარელ-წყალი, ნაპანკისევარი, კუწახტა, დედისფერული (78), ახსაბარი (12), დუმსურა (27), წოვა (320), ფარსმა (122), დართლო (127), თუშის-ომალო (180), ნადიხვარი (145), ილიურთა (165), ჯვარბოსელი (125), ხალაწანი [illegible] და წინუბანი (18). დანარჩენ სოფლებზე

ამ მიტინგების რეზოლიუცია: 1 რაც საქართველოს საზღვრებში მიწა მოიპოვება,—სახაზინო იქნება იგი თუ საუფლისწულო, სამონასტრო—საეკლესიო თუ მემამულეებისა,—ის მიწა მიწის მუშის სასარგებლოთ უნდა დარჩეს.

2. აუცილებელ საჭიროებად ვრაცხთ, რომ რუსეთის განაპირა ხალხებისათვის იქმნას შემოღებული დემოკრატიული თვითმმართველობა ავტონომია საკანონმდებლო დაწესებულებით (პარლამენტით ქართველებისათვის ტფილისში); მთელ კავკასიისათვის კავკასიის ერთ რომელიმე ქალაქში საკანონმდებლო დაწესებულება, რომელშიაც შევლენ ყველა წარმომადგენელი აგრეთვე ყველა ერი; წარმომადგენელი იქნებიან გაგზავნილნი სრულიად რუსეთის საერთო პარლამენტში. ამ რიგად დარსდება მთელი კავკასიის კავშირი ანუ ფედერაცია და სრულიად რუსეთის ფედერაცია.

3. ამ ორ მუხლში მოყვანილ დებულებათა განხორციელებისათვის დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას განაპირა ქვეყნებისათვის და თვით რუსებისათვის დამფუძნებელი კრებები; ამ კრებების წარმომადგენელნი, როგორც ხალხის სხვა დაწესებულებაშიაც, იქნებიან არჩეულნი საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ კენჭის ყრით.

4 სამხედრო ბეგარა უნდა იქნას გადახდილი ადგილობრივ და ორხის თვის ვადით. ამ ვადის მიხედვით უნდა შემცირდეს მუდმივი ჯარი მთელ რუსეთში, ჯარის კაცს უნდა ეძლეოდეს თვეში 5 მან.

5. დღევანდელი გადასახადები არ მიეცეს მთავრობას, სანამ მთელ საქართველოში ამ საგანზე ერთი რამ არ გადასწყდება. მაინც და მაინც ხარჯების განაწილება და აღება ხდებოდეს შემოსავლის დაკვალად. მოისპოს არაპირდაპირი გადასახადები.

6. ყაზახების დაუყოვნებლივ გაყვანა მთელ საქართველოდან.

7. ახლად დანიშნული თიანეთის მაზრის უფროსი გოგოხია, როგორც თავისუფლების, თანასწორობის, ერთობის მტერი, დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან, ამავ მიზეზით დათხოვნილ იქმნას თუშ-კახეთის ბოქაული ოძაშვ.

8. გამოეცხადოს ჩვენი მწუხარება და გულითადი თანაგრძნობა სომეხ-თათრების შეტაკების მსხვერპლებს და დაზარალებულებს.

9. მთელ კავკასიის ერებს და თვით რუსის ხალხს ჩვენ ვთვლით ძმებად და მზადა ვართ ამ განმათავისუფლებელ მოძრაობაში მხარი დავუჭიროთ.

10. მიწის მუშა თავის მოვალეობად სთვლის ქალაქების მუშებთან ერთად შებრძოლოს არსებულ წესწყობილებას.

11. რადგან გურულმა ხალხმა პირველმა აატრიალა თავისუფლების დროშა და შებრძოლა თვითმპყრობელობას, როგორც უმწარეს ხალხის მტერს, ამის გამო ჩვენ ვუძღვნით მას ჩვენს სალამს, თუმცა დაგვიანებულს.

სანამ ჩვენი ცხოვრება ადამიანურ კალაპოტში არ ჩადგება, სანამ ჩვენი დაბეჩავებული და ბედკრული მდგომარეობა გონივრულ მსვლელობას არ მიიღებს, ჩვენ მოძრაობას ვერავითარი ძალა ვერ შეაყენებს, ჩვენ შფოთვა-დელვას ბოლო არ მოეღება.

აქაური

დეპეშა

პეტერბურგი, 30 დეკემბერი. ოფიციალური. ფინანსთა მინისტრის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში 1906 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ აღნიშნულია, რომ 6 აგვისტოს და 17 ოქტომბრის მანიფესტებით მცხოვრებთ მიენიჭა უფლება ამორჩეულ პირთა შემწეობით მონაწილეობა მიიღოს საფინანსო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის შედგენის საქმეში. ახლანდელი აღრიცხვა უკანასკნელად შესდგა ხალხის წარმომადგენელთა განუხილველად უწინდელის წესის მიხედვით. 1906 წლის აღრიცხვაში მეტად დიდია საგანგებო ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ომის ხარჯები არ იყო შეტანილი 1905 წლის აღრიცხვაში, ახლა-კი, ომის გათავებისთვის საჭირო ხარჯები, შეტანილია 1906 წლის აღრიცხვაში. სახელმწიფო ჩვეულებრივი შემოსავალი ნავარაუდევია 2.027.858.774, მან. საგანგებო—2 მილ. მანათი, განზრახულ საკრედიტო ოპერაციებიდან მოსალოდნელია 381.114.001 მან. გასავალი: ჩვეულებრივი—2.018.076.550 მან., საგანგებო—492.896.225 მან.; ასე რომ ბიუჯეტის ბალანსია—2.510.972.755 მანეთი. უმთავრესი შემოსავალი აღნიშნულია შემდეგი: პირდაპირი გადასახადი—148 მილ., არა პირდაპირი—424 მილ., ბაჟი—108 მილ., რეგალიები—841 მილ., სახაზინო ქონება და თანხები—582 მილ., ნადელების გამოსასყიდი გადასახადები—35 მილ., სახელმწიფო ხაზინის ვალის გასტუმრება—80 მილ., სხვა და სხვა შემოსავალი—5 მილ. უმთავრესი გასავალი: სესხის სარგებელი—334 მილ., უმთავრესი სახელმწიფო დაწესებულებანი—5 მილ., უწმ. სინოდი—29 მილ., სასახლის სამინისტრო—16 მილ., გარეშე საქმეთა სამინისტრო—5 მილ., სამხედრო—374 მილ., საზღვაო—104 მილ., ფინანსთა—342 მილ., ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო—37 მილ., მიწათმოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტრო—36 მილ., შინაგან საქმეთა—131 მილ., საერო განათლების—44 მილ., გზათა სამინისტრო—477 მილ., იუსტიციის—52 მილ., სახელმწიფო კანტროლი—9 მილ., იაპონიასთან ომით გამოწვეული ხარჯები—495 მილ., რკინის გზების ასაშენებლად—42 მილ., მოუსავლობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ—30 მილ., სესხი ნავთის მწარმოებელთ—15 მილიონი მანათი. 1905 წელს ნავარაუდევი შემოსავალი, მიუხედავად მძიმე პირობებისა, უიმედოთ არ ჩაითვლება: გასულ წლის 10 თვის ცნობებით, შემოსავალი ამ ხანში მეტი იყო, ვიდრე 1904 წ. 10 თვეში შემოვიდა. 1906 წლისთვის ნავარაუდევი აღსრულდება, თუ რუსეთში მშვიდობიანობა დამყარდა, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია გასავალმა გადააჭარბოს შემოსავალს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 დეკემბერი.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, რომ ზარუბაევი ინიშნება ჯარების უფროსად პეტერბურგში, მიშჩენკო კი ამავე ადგილზეო.

კრემენჩუგი, 29 დეკემბერი. კრემენჩუგის მაზრაში გლეხთა ბრბომ ძალადობა იხმარა ორლოვსკის მამულში და საქონელი გარეკა. გამოიწვიეს ჯარები. კრემენჩუგის სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, შესწყვიტოს თავისი მოღვაწეობა.

ვერხნედნეპროვსკი, 29 დეკემბერი. აგრარულ მოძრაობის დროს დაიწვა და განადგურდა ორმოცდა-ათ მამულზე მეტი. მაზრაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ვარშავა, 30 დეკემბერი. რადომის გუბერნიის ოპატოვისა, ილეცკის და კონსკის მაზრებში აგრარულ მოძრაობის ჩქარა მოსასპობად დაინიშნა დროებით გენერალ-გუბერნატორად გენ. რასსინი. იქითკენვე გაიგზავნა ორი ბატალიონი ჯარი.— „ვარშ. დნევნიკ“-ის სიტყვით, დაატუსაღეს ვარშავის კომიტეტი სამხედრო-სარევოლიუციო ორგანიზაციისა, რომელსაც შეადგენდნენ სტუდენტები, ხელოსნები და დანტისტები. დაატუსაღეს ებრაელთა სარევოლიუციო ტრიბუნალი, რომელიც სიკვდილით დასჯას უწყვეტდა ხოლმე ხალხს.

ყაზანი. „ვოლჟ. ლისტ.“-ი იუწყება ტეტიუშსკის მაზრაში აგრარიული მოძრაობა ძლიერდებაო.

მოსკოვი, 30 დეკემბერი. რადგანაც ახლო მომავალში არჩევნები უნდა მოხდეს, ამიტომ გენ. გუბერნატორმა შემდეგი წესები გამოსცა კრებების გასამართავად: 1. შუამდგომლობა კრების გასამართავად, რომელზედაც არჩევნების წარმოებაზე იქნება ლაპარაკი, მოსკოვში სამის დღის წინად უნდა წარედგინოს გრადონაჩალნიკს, მოსკოვის გუბერნიაში კი გუბერნატორს—ხუთის დღის წინად კრების დაწყებამდე; 2. თხოვნაში ნაჩვენები უნდა იყოს ადგილი, დღე და საათი კრების გახსნისა, სამეცადინო საგანი და ის პირი, რომელიც პასუხის მგებელი იქნება კრებაზე მომხდარ ამბებისა; 3. კრებაზე შეიძლება შეიდეს ის, ვისაც სახელობითი უწყება ანუ ბილეთი იქნება, რომელზედაც ხელი ექნება მოწერილი კრებაზე პასუხმგებელ პირს.

მოსკოვი. რუზაში რამდენჯერმე [illegible] რევოლვერი ისპრავნიკ პოლონსკის. არავინ არ დაშავებულა.

სურაჟი. სოფ. კალინოკის გლეხები, ას კაცზე მეტი, თოფებით გაემართნენ აპოლსკის საარყე ქარხნის გასანადგურებლად. იქითკენ გაემართნენ ასი ყაზახ-რუსი და პოლიციელები. გლეხებმა გაიგეს, რომ მათ გამოუდგნენ, ტყეში ჩასაფრდნენ და თოფები და რევოლვერები დაახალეს მდევართ. გლეხებში არიან მოკლულ-დაჭრილები, დაატუსაღეს 15 კაცი. ყაზახებში არავინ არ დაზიანებულა. ქარხანა ვეღარ გაანადგურეს.

მიტავა, 25 დეკემბერი. აჯანყებულ სოფლებიდან მოსულები ამბობენ, რომ გზებზე თოფებით შეარაღებული მეამბოხენი დადიან; წესიერების აღდგენას ხელს უშლის ჯარის უყოლობა. მაშველები ჯერ ვერ მოვიდნენ. ტყუილია ის ხმები, ვითომც მიტავასა და ლიბავას ყუბანის ყაზახ-რუსები მოსულიყვნენ და ვითომც ტუკუმში მოკლულ-დაჭრილები 580 კაცი იყოს.

ეკატერინოდარი, 25 დეკემბერი. მუშები შეეცადნენ გაენთავისუფლებინათ მუშათა კომიტეტის დატუსაღებული წევრები, მაგრამ ჯარმა გაჰფანტა. დაიჭრა რვა კაცი. ნოვოროსიისკში ჯარი იგზავნება.

სტამბოლი. ფოთთან ახლოს, შავ ზღვაზე დაიღუპა ინგლისის გემი „ბერნიცია“.

ვერხნედნეპროვსკი, 25 დეკემბერი. გამოურკვეველ დრომდი დაიხურა სალითონო ქარხანა, გენერალურ საზოგადოების ქარხანაში დაითხოვეს 2500 მუშა და რამდენიმე ასი მოსამსახურე.

31 დეკემბერი

მოსკოვი, 31 დეკ. დაიწყო გამოძიება ბეჭდვითი საქმის მუშათა და გამომცემელთა კავშირების შესახებ, რომელნიც წინააღუდგნენ რეაქციონურ და ზომიერ მიმართულების ბროშურების დაბეჭდვას. გამოირკვა, რომ გამომცემელთა კავშირის ბიურო უზლავდა წანაგებს. იმ ასოთ-ამწყობთ, რომელნიც უარს აბობდნენ ზემოდ მოყვანილ მიმართულების და გაზეთების აწყობაზე.

კოვნა, 31 დეკ. სად. კუპიშკაში, ვოლკომირის მაზრა, გლეხებს გაუძარცვავთ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. წაუღიათ 15000 მ.

იაროსლავი, 31 დეკ. „სევერნი ობლასტის“ სიტყვით, ლიცეის საბჭოს გადაუწყვეტია, მიიღოს სტუდენტებად ქალებიც. ერთი ქალი უკვე ჩაურიცხავთ სტუდენტად.

მიტავა, 31 დეკ. გუშინ, როდესაც სახალხო მატარებელი მიტავიდან მურავიოვაში მიდიოდა, სროლა დაუწყვიათ ვაგონებისა და ორთქლმავლისთვის. მსროლელნი მიიმალნენ.

პეტროპავლოვსკი, 31 დეკ. მაზრაში შემოიღეს სამხედრო წესები.

რიგა, 31 დეკ. კლიუჩევის ქუჩაზე ალექსეევის სახლში ორ ადგილას აღმოუჩენიათ ყუმბარების საწყობი, დინამიტი, სამი მოუმზადებელი სასროლი გრანატა, 20000 პატრონა, რევოლვერები, ხანჯლები, მრავალი რევოლიუციონური ლიტერატურა და გეგმა, ქალაქში ბრძოლის დროს სახელმძღვანელოდ შეოგენილი.

პეტერბურგი. მთავრობის განმარტება: „ზოგიერთი რევოლიუციონური ორგანიზაციები აცხადებენ თავიანთ დროებით გამოცემებში გადაწყვეტილებას, რომ, რადგან გაფიცვა და რევოლიუციონური მოძრაობა სატახტო და სხვა ქალაქებში ეხლა არ დამთავრდა სასურველად, დროებით ყოველ ზემოაღნიშნულ მოქმედებას ვწყვეტთ, რათა მომავალ წლის დასაწყისს მოვამზადოთ უფრო ძლიერი საერთო გაფიცვა. რადგან ამგვარ განცხადებებს ის აზრი აქვს, რომ რევოლიუციონერებმა თავის სასარგებლოდ გამოიყენონ შიშიანობა და უიმედობა, და რადგან ასეთს განცხადებებს გავლენა აქვს იმ წრეებზე, რომელთაც საქმის ნამდვილი მდგომარეობა არ იციან, ამიტომ მმართველობა საჭიროდ სთვლის გამოაცხადოს, რომ იგი აჯანყებასა და ამბოხებას სულერთიან შეუკრავს გზებს, ენერგიულად მოსპობს ყოველგვარ სარევოლიუციო მზადებას და თუ ამბოხება დაიწყო, სათავეშივე გასჭყლეტავს იმას. ვინც საყოველთაო აჯანყებით აშინებს ხალხს, ისინი ეხლა პეტერბურგზე უთითებენ, სადაც ვითომდა მოიყარეს თავი სარევოლიუციო ბრბოების ნაშთებმა მოსკოვში დამარცხების შემდეგ. მცხოვრებლების დასამშვიდებლად მმართველობა აცხადებს კერძოდ პეტერბურგის შესახებ რომ მცხოვრებლებს შეუძლიანთ სრულიად დამშვიდებულნი იყვნენ—არავითარი არეულობა სატახტო ქალაქში არ მოხდება“.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

31 დეკემბერი

პეტერბურგი, 28 დეკემბერი. თერგის ოლქის დროებითის გენ.-გუბერნატორის დეპეშა, კავკავიდან 28 დეკემბრის თარიღით: „შევკრიბე საჭირო რიცხვი ჯარისა, უზრუნველ-ვჰავ გეორგიევსკი საარტილერიო საწყობი, რომელსაც დიდი სიფრთხე მოელოდა, მივიღე ბევრი სხვა ზომები, გამოწვეული აგიტატორების ცხარე პროპაგანდით ქალაქისა და სოფლების მცხოვრებთა შორის, 23 დეკემბერს სამხედრო წესები გამოვაცხადე თერგის ოლქში. სადგ. ნეზლობნაიას წართმევამ შიშის ზარი დასცა მინერალნი ვოდის რევოლიუციონერებს, სადაც მთავარი ბუდე იყო რევოლიუციისა. იქვე არსებობდა მეამბოხეთა ბრბოები, რომელნიც აშინებდა მთელს კავკავის გზას. რევოლიუციონერები გაიქცნენ. ერთი ნაწილი პიატიგორსკში, სადაც წესიერება ვარდება. იარაღ-აყრილი პოლიციელებსა და ჟანდარმებს იარაღი მიეცათ. ამ მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ, 25 ნოემბერს გაიხსნა მატარებლების მიმოსვლა, 27 ნოემბერს წესიერი მიმოსვლა გაიხსნა მაგისტრალსა და კავკავის გზის პეტროვსკის შტოზე. დღეს მაუწყეს, რომ ჩემ მიერ გაგზავნილმა რაზმმა დაიჭირა პიატიგორსკი და გაასწორეს რევოლიუციონერების მიერ გაფუჭებული გზა. რევოლიუციონერთა უმეტესი ნაწილი დაატუსაღეს.

ბაქო, 29 დეკემბერი. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაიხურა გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“ ქალაქში სიმშვიდეა. ხალხს იჭერენ. სამრეწველოებზე მუშაობა განახლდა. ქალაქის სამმართველო სრულიად გაღატაკდა. გამგეობა ჯამაგირებს არ აძლევს მოსამსახურეებს. ქარხნებსა და დოკებზე მუშაობაა.

ბათუმი, 29 დეკემბერი. რევოლიუციონური მოძრაობა მეტად ძლიერი იყო ქუთაისში, საცა საქმე ბარიკადებამდე მივიდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიულები მიემხრნენ რევოლიუციონერებს. აგიტატორებმა დაღესტანს მოჰფინეს პროპაგანდა.

პეტერბურგი, 29 დეკემბერი. ამჟამად წესიერი მიმოსვლა აღდგენილია ყველა რკინის გზებზე, გარდა ციმბირისა. კრასნოიარსკიდან ირკუტსკამდე იმიერ კავკასიისა და კავკავისა, დარუბანდსა და ბალაჯარს შორის. კრასნოიარსკსა და ირკუტსკის შორის მიმოსვლა ვერ სწარმოებს წესიერად, რადგანაც ეს ნაწილი გაფიცვის კომიტეტის ხელშია. ამ ნაწილსა და იმიერ-კავკასიის რკინის გზაზე მიმოსვლის აღსადგენად ძლიერი ენერგიული ზომებია მიღებული, დარუბანდსა და ბალაჯარს შორის-კი ამ დღეებში გაიმართება მიმოსვლა. ფოსტა-ტელეგრაფის მოქმედება ყველგან წესიერია, მხოლოდ ციმბირთანა, კრასნოიარსკის იქით, იმიერ-კავკასიასთან შემთხვევითია და წესიერების აღდგენას ითხოვს. როგორც ცნობებიდან სჩანს, გაფიცვები და რევოლიუციონური მოძრაობა ყველგან დამარცხდნენ ევროპის რუსეთში, გარდა ბალტიის პირა მხარისა, საცა რევოლიუციონურ მოძრაობას სრულებით სხვა ხასიათი აქვს და გამომდინარეობს ლატიშების ნაციონალურ მისწრაფებიდან. ეჭვს გარეშეა, რომ იქაც ჩქარა იქნება ჩაქრობილი რევოლიუცია.

პეტერბურგი, 30 დეკემბერი. სამოსამართლო პალატის პროკურორის განკარგულებით შეჩერებულ გაზეთების საქმე 4 იანვრისთვის არის გასარჩევად დანიშნული.

სარატოვი. ახალი გაზეთი „პოვოლჟიე“ შეჩერებულ იქნა გენ. მაქსიმოვის მიერ პირველ ნომრის შემდეგ.

რიგა. 30 დეკემბერი. ქალაქი ლემზალი და დამაზალცბურგი, ვოლმარსკის მაზრაში, საცა გადასწვეს ბარონ ბ ტინგოვის კოშკი, ორლოვის რაზმმა დაიჭირა, რომელიც ენერგიულად ებრძვის მეამბოხეთ. გარნიზონის საჭიროებისთვის 16 ტყვიის მტყორცნელი გამოჰგზავნეს.

მიტავა. 30 დეკემბერი. ცნობა მივიდა, რომ შობა წინ-ღამით კურლიანდიაში მეამბოხეთ მაინბერგის ძველესი კოშკი დაუწვავთ.

პეტერბურგი. სოლლოგუბი აუწყებს ტელეგრაფით რიგიდან. 28 დეკემბრის თარიღით, გენერალურ შტაბს უფროსს, გენ ვორონოვის მოხსენებით ესტლიანდიაში ენერგიულ ზომების საშუალებით მოსპობილ იქმნა რევოლიუციონური მოძრაობაო. გენ. ორლოვი იუწყება, 26 დეკემბრიდან ვოლკსა და ახლო-მახლო ადგილებში სრული სიმშვიდეა. ველინსა და პერნოვოში წესიერება იქმნა აღდგენილი. 24 დეკემბერს მოსულმა ულანთა ორმა ესკადრონმა ზარბაზნებით შემოიარა არემარე. მუშაობა ძნელდება, რადგანაც ადგილობრივი საპოლიციო ძალები აღარაა, ყველა კანონიერი დაწესებულებანი აღდგენილ იქნენ, მეთაურები დაატუსაღეს. გათენებისას ქალაქს ქვეითი ჯარი შემოერტყა. ვარშავიდან მოსულები გაჩხრიკეს და ბევრი დაატუსაღეს.

პიატიგორსკი, 30 დეკემბერი, ესენტუკსა, კისლოვოდსკსა, პიატიგორსკსა და მთელ პიატიგორსკის განყოფილებაში სამხედრო წესები გამოცხადდა. დაიხურა „პიატ. ლისტოკ“-ისა და „ნაროდნი პრავდა“-ს რედაქციები და აგრეთვე სამი სტამბა.

ვარშავა, 30 დეკემბერი. საღამოს ქალაქში მოსიარულე აყარებელი პატრულები ჩხრეკავდნენ ხალხს და ატუსაღებდნენ საეჭვო პირთ. ლოძში რკინის ნამტვრევების საწყობში, საცა სამი მუშა მუშაობდა, ვიღაცას მიერ დადებულმა ბომბამ იფეთქა. ერთ მუშას ხელები მოჰგლიჯა, და თვალები ამოსწვა, მეორეს მთელი სხეული დაუჭრა. რადომის გუბერნიის ოთხ მაზრაში გლეხების მოძრაობის ჩასაქრობად გაიგზავნა კოკსჰელმის პოლკის კამანდირი და ორი ბატალიონი. გენ. რორინი დაინიშნა ამ რაიონის დროებით გენენერალ-გუბერნატორად.

ვიტებსკი, 31 დეკემბერი. პოლიცია და ჯარები გარს შემოერტყნენ ებრაელთა სკოლას, სადაც 600-ზე მეტი კაცი იყო. ქრისტიანებისა და მოსწავლეების თენადასწრებით მიტინგზე გაჩხრეკა სწარმოებს, იარაღს ართმევენ.

კიევი. ებრაელების ძლიუტო-ხაცკისაგან დაზარალებულ ებრაელ ვაჭრებს ნება მიეცათ, ვადის შესრულებამდე პირველ გილდიდან მეორეში ჩაირიცხონ.

ბაქო, 31 დეკემბერი. გენ.-გუბერნატორის მიერ შეჩერებულ იქმნა გაზეთი „ბაკუ“. თანამშრომლები „ბაკინსკ. ოტგოლოსკი“-ში გადადიან, რომელიც პირველ იანვრიდან გამოვა.

კრასნოიარსკი, დეკემბერი. ტელეგრაფის მუშაობა აღდგენილ იქმნა. დაგვიანებული ცნობები მივიდა რომ 8 დეკემბერს მეამბოხეთ ხელთ იგდეს, სამხედრო ძალის შემწეობით, საგუბერნიო საპყრობილე და კერძო სტამბები, 9-ს დიდებული რევოლიუციონური მანიფესტაცია გამართეს, 10-ს შეიარაღებული ბრბო მოვიდა პოლიციის სამმართველოში, იარაღი აჰყარა გოროდოვოებს და წაიღო იარაღი რომელიც ინახებოდა. გუბერნიის მმართველმა, რაც შეეძლო, ყველაფერი გააკეთა, რათა კრასნოიარსკში ომის ასპარეზიდან მოსულიყო ადგილობრივ პოლკის ორი ეშელონი, რომელთა მოსვლის შემდეგ შესწყდა ამბოხება. უნდა ვიფიქროთ, რომ დღეს-ხვალ სრულიად მოისპობა აჯანყება ადმინისტრაციის ტაქტიკურ მოღვაწეობის წყალობით.

ასტრახანი, 31 დეკემბერი. ქალაქის შუაგულში, ბინაზე. საღამოს სამმა ბოროტ-გამზრახველმა საშიშრად დასჭრა დანით საოპერო არტისტი ქალი პაპაიანი და მამა მისი ვაჭარი. ბოროტ-გამზრახველნი დაატუსაღეს.

1 იანვარი

მოსკოვი, 31 დეკემბერი. „რუს. ვედომოსტი“-ს ნება მიეცა განახლდეს და დაუბრუნდა დიდი ნაწილი იმ ფულებისა, რომელიც დანიშნული იყო ქველმოქმედებისათვის.

7 იანვარს მოხდება სრულიად რუსეთის გუბერნიების და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლების კრება. „17 ოქტომბრის“ კავშირს შეუერთდა საგლეხო კავშირი, რომელიც მოსკოვის გუბერნიაში დაარსდა, სრულიად რუსეთის საგლეხო კავშირის წინააღმდეგ.

რიგა, 31 დეკემბერი. საღამოს, უცნობთ ტყვიით მოჰკლეს პავლოგრადის პოლკის აფიცერი. ოფიციალურ განცხადებაში ითხოვენ იარაღის გადაცემას სამხედრო ხაზინისათვის, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოეპყრობიან როგორც მეამბოხეთ და იმ სახლს საცა იარაღს იპოვნიან, გაანადგურებენ.

სოსნიცი, 31 დეკემბერი. აყარებელი ხალხი დაიჭირეს. დაიჭირეს მთავარი აგიტატორები გლეხთა კავშირისა. კერძო კრებაზე საბჭომ გადასწყვიტა დააარსოს მილიცია.

ლვოვი, 1 იანვარი. დღეს მოვიდა ერთი ასეული ყაზახ-რუსი თავად-აზნაურთა მამულში, რომელიც გაანადგურეს გლეხებმა გამოჰგზავნეს აგრეთვე არტილერია და ტყვიის მტყორცნელები.

ტფილისი, 31 დეკემბერი. სადგ. ევლახზე, ფოსტის ვაგონის გადმოტვირთვის დროს, იპოვნეს იარაღით სავსე ტომარა. აფეთქება მოხდა, რომელმაც 18 კაცი დასჭრა. ეს ამანათი მოსკოვიდან იგზავნებოდა შუშაში. პიატიგორსკში დაატუსაღეს რამდენიმე ექიმი და არეულობის მთავარი ხელმძღვანელნი. ჯარის თავგამოდებულმა ბრძოლამ მეამბოხეთა წინააღმდეგ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მცხოვრებლებზე, რომელთაც ეგონათ, რომ იგი ფიცს გასტეხდა. ნამესტნიკის წასვლაზე ხმა იმიტომ დაჰყარეს, რომ იგი ავად იყო. ეხლა კარგად გახდა და რჩება თავის ადგილზე.

ჩერნიგოვი, 1 იანვარი. სობოროდან მოდენილ გუბერნატორს ორი ბომბა ესროლეს, კარეტა დაინგრა, გუბერნატორი მძიმედ დაიჭრა, მისი მეუღლე მსუბუქად. მსროლელი შეიპყრეს.

კიევი, 1 იანვარი. უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა მეცადინეობა განაახლოს 15 იანვრიდან.

ბაქო, 1 იანვარი. რევოლიუციონერების მიერ აღებულ სადგურს ჯარი იჭერს. მატარებლები ვერ დადიან წესიერად.

ვარშავა, 1 იანვარი. დაატუსაღეს 11 წევრი „ბუნდ“-ის ვარშავის კომიტეტისა და აგრეთვე ბევრი საეჭვო პირნი რევოლვერებითა და დანებით. სხვათა შორის, გრაუმანი ანარქისტი, კომუნისტი და მთავარი მკეთებელი ბომბებისა.

რიგა, 31 დეკემბერი. გუშინ საღამოს პოლიციამ იპოვნა ორ ბინაზე ბომბების საწყობი და სარევოლიუციო ლიტერატურა. მეორე გაჩხრეკამ აღმოაჩინა საიდუმლო სტამბა არალეგალურ ბროშიურებისა. დღეს განაგრძობენ ჩხრეკას. დვინას გაღმა იპოვნეს აყარებელი იარაღი, დაატუსაღეს გამოჩენილნი პოლიტიკური მკვლელები.

პეტერბურგი, 31 დეკ. დემოკრატიულ-სოციალისტურად წოდებულ გაზეთ „სვობოდა“-ს რედაქციაში დღეს გაჩხრეკა მოხდა. წაიღეს ყველა ხელნაწერები.

ირკუტსკი. 29 დეკემბერს გუბერნატორმა ირკუტსკში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოაცხადა.

მოსკოვი, 1 იანვარი. სახლების ჩხრეკას განაგრძობენ. გუბერნიაში გაფიცვა გათავდა. პოკროვსკის მანუფაქტურაში 13 რევოლიუციონერი დაიჭირეს, დაიჭირეს მუშები აგრეთვე პოდოლსკის ახლო-მახლო ფაბრიკებში.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა

და რეზინის სხვა ნაკეთობისათვის

უდიდესი ჯილდო

(Grand prix)

პარიზის გამოფენაზე

მიენიჭა რუსეთში მხოლოდ

ამხანაგობას

რუსეთ-ამერიკის

რეზინის მანუფაქტურისას

ს.-პეტერბურგში,

დაარსებულს 1860 წელს

[illegible]ნის კალოშების [illegible] ლანჩას, ხაზოვან [illegible]დებში მიაკვირდ კაძირზე ნიშანს. თრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადი „1860“ და სიტყვას.

„С.-Петербургъ“

წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდად ვაჭრობას აწარმოებს საგაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ოდესას, ტომსკს და ტფილისში.

სტამბა „წიგნების გამოც. ქართ. ამხ.“-ს